ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№44 (1554) 10–14 მაისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქა ამბავი

## გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტისა და კომპარტიის გენერალური მდივნის პანტელეიმონის მედგარი ბრძოლისა...

5



გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

## კომუნისტების ხმა ორკესტრმა ჩაახშო

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა გამარჯვების პარკში გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მიტინგზე, რომელსაც დაახლოებით 400 კაცი ესწრებოდა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ყველას მიულოცა გამარჯვების დღე და აღნიშნა, რომ გასულ წელს ომის ვეტერანებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტმა 4 მილიონი ლარი გამოყო, მიმდინარე წელს ეს თანხა 23 მილიონ ლარს შეადგენს და მომავალში კვლავაც გაიზრდება, რადგან დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახებისთვის ზრუნვა მთელ საქართველოზე ზრუნვის ტოლფასია. ვფიქრობ, დადგება დრო, როცა დაიწერება მეორე მსოფლიო ომის შესახებ ახალი, სამართლიანი ისტორია, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

თავის ოცწუთიან გამოსვლაში პრეზიდენტი შეეხო რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხს და აღნიშნა, რომ იგი სამართლიანი და თანასწორუფლებიანი უნდა იყოს. ვეტერანები გულაჩუყებულნი უსმენდნენ მას. ერთი ქალბატონი კისერზეც ჩამოეკიდა პრეზიდენტს და არ მოეშვა, ვიდრე კარგად არ ჩაკოცნა.

სამხედრო ორკესტრისა და ომისდროინდელი სიმღერების ფონზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის დაჯგუფების წარმომადგენლებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. იქვე დააპირეს მიტინგის ჩატარება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის წარმომადგენლებმა, მაგრამ ორკესტრმა ჩაახშო მათი ხმა და კომუნისტებს სხვა ადგილზე მოუწიათ გადასვლა, სადაც სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

**ბი ჯი აი**



– მე·ის კი არ მითქვამს დახვრიტეთ და დახურეთ ეს გაზეთები მეთქი, მე ვამბობ იმას, რომ არ შეიძლება. ყველაფერი ცუდი როგორ ხდება კაცო. როგორ ხდება ყველაფერი ცუდი ამ ქვეყანაზე რო ერთი კარგი ვერ დაინახა ვერცერთმა იმან. მე მაგალითად დამისახელეთ კარგი გაზეთი რომელია და ლენინის ორდენს მივცემ ბატონო.

3

## მკვლელთა ოჯახის საგა

## ცოლმა მოკლა ქმარი, შვილმა მოკლა დედა, ოღონდ არა მამის მკვლელობისათვის...

3

## ლევან კენჭაძე:

## იტყვიან, აი, ჩვენ რომ სიმართლე დავწერეთ, იმიტომ გაგვათავისუფლესო...

2

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ვინ ვინ არის

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

# რედაქტორი: დიდსა ვერა ჰკლავთ, ხელად გაქვთ, ხოცვა ნადირთა მცირეთა?

# მინისტრი: არა, არა, არ არის ეგრე!..

საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი
***კახა თარგამაძე***
და გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი
***ნოდარ გრიგალაშვილი***



**კ.თ.** – კორუფციის პრობლემა ბევრ სხვა ქვეყანაშიც არის. უფრო მეტიც, ეს გაეროს მსჯელობის საგანი გახდა და შეერთებული შტატების და ევროპული ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრები, რომლებიც ებრძვიან დანაშაულს, იკრიბებიან, ერთობლივ თათბირებს მართავენ, ერთობლივ გეგმებს ახორციელებენ, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ამ დანაშაულს, რამეთუ ეს დანაშაული ერთი ქვეყნის ფარგლებში არ მთავრდება მხოლოდ. იცით თუ არა, რომ დაახლოებითი ანგარიშებიც გაკეთდა ამ მხრივ, რაც ას მილიარდს აღწევს.

***ნ.გ.*** *– მარტო ამერიკაში?*

**კ.თ.** – არა, დანაშაულებრივი თანხების მოძრაობაზეა ლაპარაკი მსოფლიოს მასშტაბით. მაგრამ ჩვენ ჩვენს ჭირს მივხედოთ. რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ამ მიმართულებით? ჩვენ თავის დროზე საკმაოდ ძლიერი ოპერატიული სამსახური გვყავდა, რომელიც მუშაობდა ეკონომიკური დანაშაულის ხაზით. ყოფილ „ობეხესზეა“ ლაპარაკი. არადა, ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ ეს სამსახური დაგვენგრია და გაგვენადგურებინა. იმაზე კი არ გვეფიქრია, რომ მომავალში იგი ცოტა სახეშეცვლილი, სხვანაირი გზებით მომუშავე, მაგრამ მაინც პროფესიონალებით დაკომპლექტებული, რომელსაც გააჩნდა შენიღბული ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, ჩვენც დაგვჭირდებოდა. წინა პარლამენტმა ეს სამსახური მთლიანად გააუქმა და დიდი მასა ამ პროფესიონალებისა წავიდა ჩვენგან. ესენი ბიზნესში მოღვაწეობენ და მათ წინააღმდეგ ბრძოლა დღეს ძალიან დიდ სირთულეებს წარმოადგენს... მაგრამ მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მაინც შესძლო ძირითადი ბირთვის შენარჩუნება ცენტრალურ აპარატში. ამჟამად ჩვენ ვცდილობთ, რომ აღვადგინოთ ეს სამსახური. გაეროს სპეციალური რეკომენდაცია არსებობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. ინტერპოლში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაა. ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა. პროგრამა არის ორ ნაწილად გაყოფილი: I – როგორ უნდა ვებრძოლოთ ორგანიზებულ ეკონომიკურ დანაშაულს, კორუფციას სისტემის შიგნით. ეს არის 2000 წლამდე პროგრამა და II – როგორ ვებრძოლოთ მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით. ჩვენ ეს პროგრამა წარვადგინეთ უშიშროების საბჭოში, რათა შემდგომ შემუშავებულ იქნას ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებით მთლიანი პროგრამა. კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით 1996 წელს გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. 1996 წელს 700-ზე მეტი ორგანიზებული ჯგუფი, უამრავი დამნაშავე პირი ვამხილეთ, რომლებიც კონკრეტულ დანაშაულში იყვნენ ეჭვმიტანილნი. იქ იყო მილიონობით გატაცებულ თანხებზე საუბარი. ახლა, 1997 წლის დასაწყისიდან, ეს მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა. ჩვენ ვამხილეთ ყველა დამნაშავე პირი, ვამხილეთ ფოთის საბაჟოს უფროსი და სხვა უამრავი პიროვნება. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გამძაფრდება, მით უმეტეს, ჩვენ შევქმენით პროგნოზირების სამსახური, რომელმაც უნდა მიაწოდოს ხელისუფლებას და პრეზიდენტს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ავიცილოთ დანაშაული თავიდან.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №30-43.

***ნ.გ.*** *– ბატონო კახა, პრივატიზაციის პროცესთან მინდა გკითხოთ, ძალიან მრავალი ობიექტი ნაყიდია სხვისი სახელით. სახრავად სხვისაა, სახელად კი სხვისა. რაიონის ზოგიერთმა გამგებელმა, თითქოს მამა-პაპის დანატოვარი იყო, რაიონში ფაქტიურად არ დატოვა არაფერი და თავისთვის შეიძინა, ვიმეორებ, სხვისი სახელით... ხოლო თუ სხვამაც მოახერხა რაიმეს შეძენა, წილში ჩაუჯდა. ერთ-ერთ გამგებელს ხალხი ზედმეტსახელად „წილოსანს“ ეძახის...*

**კ.თ.** – მინდა ვთქვა, რომ, ალბათ, არის გარკვეული სიმართლე იმაში, რასაც ხალხი ლაპარაკობს ხოლმე. მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა მოგახსენოთ, მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ვეყრდნობი მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებს კონკრეტული დანაშაულის არსებობის ან მზადების შესახებ. მე არ შემიძლია ზოგადი საუბარი ზოგად საქმეებზე. მე უნდა დავიცვა უდანაშაულო ადამიანის უფლებები. ჩემთვის ცოტა უხერხულია ამა თუ იმ საკითხზე ზოგადი მსჯელობა. უფრო მეტიც, ხდება ისეც, რომ ჩვენ ვიცით პიროვნება, რომელმაც ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული, მაგრამ ამის მტკიცებულება არ გაგვაჩნია. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკურ დანაშაულს. რომ ჩაიხედავ მასალებში, ჩანს, რომ ესა თუ ის პიროვნება რაღაც საკითხში დამნაშავეა, მაგრამ მტკიცებულება თუ არ შეგროვდა ამის ირგვლივ, მაშინ ჩვენ კანონით უნდა დავიცვათ ადამიანის უფლებები.

***ნ.გ.*** *– მეორე საკითხზე ბრძანეთ, თუ შეიძლება, არსებობისათვის ბრძოლაზე რომ მოგახსენებდით.*

**კ.თ.** – არის სხვა სახის დანაშაულებები, რაც მცირე კატეგორიის დანაშაულია, სხვათა შორის, მაგრამ ამის გამართლებაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მე მესმის ის მდგომარეობა, რომ დღეს ქვეყანაში ხალხს საარსებოდ არ ჰყოფნის შემოსავლები, მაგრამ ჩვენ ხშირად ძველი მენტალიტეტითაც ვაზროვნებთ. მიუხედავად დახარჯული შრომისა, ჩვენ გვინდა ანაზღაურება გვქონდეს ძალიან მაღალი. საბაზრო ეკონომიკა ზუსტად ის არის, რომ ყველამ უნდა მიიღოს თავისი შრომის ნაყოფიერებით და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. არის ხალხი, რომელთაც ეს შეუძლიათ, მაგრამ არიან, რომელთაც ეს არ შეუძლიათ. დღეს ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ დავიცვათ სოციალურად დაუცველი ხალხი, რომ მინიმუმი მაინც შევმატოთ. მაგრამ დღეს საქართველოში არის მდიდარი ხალხიც. ზოგი შეიძლება უკანონოდ გამდიდრდა და ზოგი კიდევ სხვა გზით. ყოველ შემთხვევაში ყოველდღიურად მიდის მუშაობა იმაზე, რომ დაუცველ ფენას გაეწიოს დახმარება, მაგრამ ისევ და ისევ ვიტყვი, რომ ბიუჯეტში ფული უნდა შემოვიდეს და აქ კვლავ ვდგებით იმ დილემის წინაშე, რომ იგივე მრეწველობამ, იგივე წარმოებამ, იგივე ბიზნესმენმა, რომელიც მუშაობს, უნდა შეიტანოს ფული ბიუჯეტში.

***ნ.გ.*** *– ისევ კორუფციის წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლას დავუბრუნდები. თქვენ ბრძანეთ, რომ ამ სახის უამრავი დანაშაული ამხილეთ, მაგრამ ისე ხომ არ ხდება, „ვეფხისტყაოსანში“ რომ წერია, „დიდსა ვერ ხოცვენ ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა?“*

**კ.თ.** – არა, არა, არ არის ეგრე. იმ „პატარებიდან“ ჩვენ „დიდებზეც“ გავდივართ. „დიდი“ ყოველთვის უფრო შენიღბულია და პირდაპირ ვერ მიადგები. სამხილები, როგორც წესი, ქვემოდან გროვდება და მაღლა-მაღლა მიდის. ასე რომ, მერწმუნეთ, არავის მოვერიდებით, თუკი სახელმწიფო ინტერესებს ღალატობს.

***ნ.გ.*** *– ასე თუ იზამთ, ახალი ციხეების აშენება დაგჭირდებათ...*

დასასრული ოთხშაბათის ნომერში.

# ლევან კენჭაძე:

# *იტყვიან, აი, ჩვენ რომ სიმართლე დავწერეთ, იმიტომ გაგვათავისუფლესო...*

***გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა საგზაო პოლიციელთა 25 კაციანი ჯგუფის წერილი, რომელიც ამ სისტემაში არსებულ მექრთამეობის ფაქტებს ეხება. მოქალაქენი კითხულობენ, ნეტა რა პასუხს გასცემს ინსპექტორთა მამხილებელ წერილს მათი უფროსი, რომელსაც მძიმე ბრალს დებენ თანამშრომლებიო. ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად მოყვანილი ფაქტების განმარტება ვთხოვეთ თავად საგზაო პოლიციის უფროსს, ბატონ ლევან კენჭაძეს, რომელიც გამარჯვების პარკის ქვემო შესასვლელთან 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებულ ზეიმზე ვიპოვე და მისსავე ავტომანქანაში გავესაუბრე.***

*– ახლახანს გამოქვეყნდა საგზაო პოლიციელთა ჯგუფის წერილი თქვენს სისტემაში არსებული კორუფციის შესახებ. რა კომენტარს გაუკეთებთ საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობისა და პირადად თქვენს შესახებ წამოყენებულ ბრალდებებს?*

– ამ წერილზე პასუხს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს. რაც შეეხება ჩემს შესახებ ნათქვამს, ამაზე ინტერვიუც მივეცი. იმასაც შემეკითხნენ, ვუჩივლებ თუ არა სასამართლოში. ჩემი აზრით, იმას უნდა უჩივლო, ვისაც შენი წონა აქვს. ეს წერილი ისეთმა ხალხმა დაწერა, რომ მათთან ურთიერთობა დამცირება და თავის მართლება იქნებოდა. წერილი იურიდიულადაც არ არის გამართული, ვინაიდან ვარაუდებზეა აგებული. ცხადია, „ასე ამბობენ, ან ასე გვგონია“ სერიოზული მსჯელობა არ არის.

*– თუ ხვდებით ამ ავტორთა ვინაობებს?*

– დაახლოებით ვიცით. თანაც ეს 25 კაცი ძალიან ცოტაა, ვინაიდან რეფორმებით განაწყენებულნი გაცილებით მეტნი არიან.

*– საინტერესოა, მართლაც რამდენი ბინა გაქვთ და რა სახსრებით სწავლობენ თქვენი შვილები?*

– მე უამრავი ნათესავი და მეგობარი მყავს. თუ ყველას სახლს ჩავთვლით, ეს უფრო მეტიც გამოვა, ასე ოცი-ოცდაათი მაინც. აქედან ცალ-ცალკე აქვს ბინები ჩემს სიმამრს, მამაჩემს, დას და სუყველა, ალბათ, ჩემია. იგივე შეიძლება ითქვას მანქანებზეც. ერთი შვილი თბილისშია და არსად არ წასულა. მეორე კი მართლაც ამერიკაშია და ეს მერიას და განათლების სამინისტროს უნდა მოკითხონ. ერთი წლის წინ ამერიკელებმა სკოლებში კონკურსი ჩაატარეს და ვინც გაიმარჯვა, სახელმწიფო ხარჯით წაიყვანეს. ესეც თუ ჩემი დანაშაულია, კი ბატონო.

*– წერილის მიხედვით, საგზაო პოლიციაში დიდი კორუფციაა. გამოდის, რომ ამის დასაფარად თქვენ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი შექმენით?*

– როგორც სხვა უწყებებში, საგზაო პოლიციაშიც, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად არ არის და რომც თქვა, ეს სირაქლემას პოზიციის დაკავება იქნება. ჩვენ ასეთი სისტემა ჩამოვაყალიბეთ. კანონით საგზაო პოლიციელებს ტვირთზე კონტროლი ავუკრძალეთ. სწორედ აქედან მოდიოდა კორუფცია, ყველა მანქანის გაჩერება-შემოწმება თავისი შედეგებით. მანქანების უმიზეზოდ გაჩერება ყოველთვის აკრძალული იყო, მაგრამ ეს მოთხოვნა ახლა ძალიან გამკაცრდა. თუკი ასეთი ფაქტი მოხდება, დაკავებული თანამდებობიდან პირდაპირ ვათავისუფლებთ. კანონსაც ვცვლით, რომ ადგილზე დაჯარიმება და ფულის აღება არ მოხდეს. იმ ხალხს ეს არ აწყობს. ისინი კარგავენ, ზოგმაც დაკარგა სარჩო. არ მიკვირს, რომ ყოველივე უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს, ვინაიდან ისინი ფულის საკეთებლად მოვიდნენ. მათ იციან, რომ წასვლა მოუწევთ. ამასთანავე სარჩოც ხელიდან ეცლებათ და იტყვიან – აი, ჩვენ რომ სიმართლე დავწერეთ, იმიტომ გაგვათავისუფლესო. ეს დაბალი ინტელექტიანი კაცის თავდაცვის საშუალებაა. მათ საპირისპიროდ გვყავს უამრავი კარგი თანამშრომელიც.

*– რა პრინციპით იღებთ და ათავისუფლებთ თანამშრომლებს?*

– მთავრობაში შევიტანეთ საგზაო პოლიციის განვითარების პროგრამა. პირველ რიგში, დამატებით უახლოეს პერიოდში განიხილება საკითხი, სადაც ცალკე თავადაა გამოყოფილი საგზაო პოლიციაში მიღების, გადაადგილებისა და დათხოვნის წესი. ჩვენთან მივიღებთ მხოლოდ პოლიციის აკადემიის კურსდამთავრებულებს. როგორც დღეს არის მიღება, ასე აღარ იქნება. უკვე ორი წელია სწავლა მიმდინარეობს და თანდათან ამ კონტიგენტით შეივსება მთელი შემადგენლობა. დღეს არის რეგიონებში ძველებური დანიშვნები. ჩვენთან მიღება კი რამდენიმე საფეხურიანია. შერჩეულ კანდიდატურას შემდეგ სამინისტრო განიხილავს, რაც „ჩაწყობის“ შესა-

გაგრძელება მე-5 გვ.



# ჟვანია ისტერიკას არ აჰყვა



ჭყნეთის გზაზე ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენამ საზოგადოებაში დიდი აღიაქოთი გამოიწვია. რატომღაც ყველა თვლის, რომ ტერაქტი დაგეგმილი უნდა ყოფილიყო პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ.

არსებობს თუ არა ამ ეჭვის საფუძველი? – მივმართეთ ზურაბ ჟვანიას. მან გვითხრა, რომ არავითარი წინაპირობა, ან რაიმე საფუძველი ამ ეჭვს არა აქვს. უბრალოდ, უმაღლესი ხელისუფლო წარმომადგენლებიდან ამ გზით ყოველდღე მხოლოდ ის სარგებლობს. „არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება სრულიად განსხვავებული ვერსიებიც ჩამოყალიბდეს. დღესდღეობით რაიმე დასკვნების გაკეთება, რაიმე შორსმიმავალი კომენტარების გაკეთება ნამდვილად ნაადრევია“, – დაამატა ბ–ნ ზურაბმა.

# საქართველო რუსეთისგან მოითხოვს

ოფიციალური წყაროების ცნობით, ახლო მომავალში თბილისს ეწვევა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ან მისი მოადგილე. ვიზიტის დროს განიხილება საქართველოს პრეტენზიები შავი ზღვის ფლოტის განაწილებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, საქართველო რუსეთისგან მოითხოვს სხვადასხვა დანიშნულების 20 საზღვაო ხომალდს, რომლებიც უკანონოდ იქნა გაყვანილი ფოთის პორტის სამხედრო საზღვაო ბაზიდან რუსეთის დროშის ქვეშ. (ბი ჯი აი)

# ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ რეზო ამაშუკელზე გაზეთმა „საქართველომ“ არაერთი წერილი დასტამბა, რომლის ავტორიც მე გახლდით. ამ წერილების შედეგად იმდენი შევძელი, რომ ჩემი საყვარელი პოეტი თავის ძირითად საქმიანობას მიბრუნებოდა და საჯაროდ გამოსვლებისა და მარგალიტების ფრქვევისთვის კარგა ხანს თავი დაენებებინა. მეც ჩემის მხრიდან, ღმერთი–რჯული, არათუ საკუთარი, სხვა ავტორების კრიტიკული წერილებიც კი აღარ დამიბეჭდავს რ.ამაშუკელის შესახებ. არადა, მასალა უხვად შემოდიოდა. მარტო ის რად ღირს – ქართული პოლიცია როგორ გაანათლა მან იძულებითი წესით... ამ საკითხზე მეტს არაფერს დავწერ, თვით ამაშუკელი მშვენივრად მიხვდება, რასაც ვგულისხმობ...

დაირღვა ჯენტლმენური შეთანხმება. ბატონ რეზოს, როგორც გაზეთ „ალიადან“ შევიტყვე, კვლავ ზიზღით მოუხსენებია გაზეთი „საქართველო“. ამიტომ, დიდის გულისტკივილით ვბეჭდავ გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტის კომენტარს მის გამოსვლაზე, ხოლო ჩემის მხრივ, ვუტოვებ შანსს ბატონ ამაშუკელს იმისას, რომ ჩემს მიმართ ადრე ჩადენილი გაუგონარი ცილისწამების გამო, ბოდიშის მოხდის შემთხვევაში, ჩემი წერილების თემატიკიდან მისი პერსონა კვლავ ამოღებულ იქნება.

სხვანაირად ვერანაირი მისი მუქარა „კაცური ანგარიშსწორების“ შესახებ ვერ შემაშინებს და ვერ გამაჩერებს.

**ნოდარ გრიგალაშვილი**



## რეზო ამაშუკელი:

# გამარჯობათ და კარგად იყავით...

*რედაქციისაგან: ტექსტს შესავალი ნაწილი აკლია. ტელევიზიას თავიდანვე არ ჩაუწერია ამაშუკელის გამოსვლა, ამიტომ ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებლად გთავაზობთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის სტენოგრამაც გვქონდა:*

...ვისაც გინდათ პარტნიორობა, იპარტნიოროს იმან, -ვისაც გინდათ კოჭი გაუგოროს ამ პრესას... და მე პირადად ვაცხადებ, ბოდიშს ვიხდი ამ აღელვებული ლაპარაკისთვის, ეხლა წამოვიდა ასეთი თემა, რომ -კარგი ბიჭების დრო წავიდა და ახლა არის კანონდამჯერე და განათლებული ბიჭების დრო“. (მიმიკებით ვიღაცას ბაძავს) და რა ისწავლეს ამ ახალგაზრდებმა ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით. თუ არა და დავჯდეთ და ვილაპარაკოთ, ეს ერთი! მაგრამ მე კიდევ გეუბნებით, თუ ასე გაგრძელდება, თუ ხმას არ ამოიღებთ ქართული ინტელიგენცია, ჩვენი კულტურის წარმომადგენლები ის ქალაქი არსებობს ჯერ კიდევ და მერე მიხედოს ამას უშიშროების სამინისტრომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა იმიტომ, რომ დაინგრა ეს ქვეყანა და დაიღუპა, გაათახსირეს ყველაფერი. გადახედეთ ამას ყველაფერს და თუ ამის მოთმენა შეიძლება და ჩვენი თავმოყვარეობა თუ ამას გაუძლებს და მაშინ მე არ მინდა ასეთი დემოკრატია და არც მივიღებ არაფერში მონაწილეობას. არის კაცები, რომლითაც დადგება ეს ქალაქი ფეხზე და კაცებს კიდევ კანონები გააჩნიათ, ვიდრე მენტალიტეტი და კონსენსუსი (ისევ მიმიკებით დასცინის ერთ ახალგაზრდა პოლიტიკოსს. დარბაზი იცინის) და გამარჯობათ და კარგად იყავით. ატყდა სიცილი. ჩაერია ლანა ღოღობერიძე.

(ამაშუკელმა ცოტა უკან დაიხია)

– მე ის კი არ მითქვამს დახვრიტეთ და დახურეთ ეს გაზეთები მეთქი, მე ვამბობ იმას, რომ არ შეიძლება. ყველაფერი ცუდი როგორ ხდება კაცო. როგორ ხდება ყველაფერი ცუდი ამ ქვეყანაზე რო ერთი კარგი ვერ დაინახა ვერცერთმა იმან. მე მაგალითად დამისახელეთ კარგი გაზეთი რომელია და ლენინის ორდენს მივცემ ბატონო. დამისახელეთ ერთი კარგი გაზეთი ბატონო (უსახელებენ იბერია–სპექტრიო და სხვა. ბოლოს ვიღაცამ „საქართველოს რესპუბლიკაო“). „საქართველოს რესპუბლიკა“ კია კარგი გაზეთი, მაგრამ უფრო ბასრი კბილი უნდა გამოაჩინოს, მე მინდა ასე, ასე ვფიქრობ. ასე ვარ, აქ ვდგავარ და სხვანაირად არ შემიძლია. გეუბნებით მე თვითონ ვიბრძოლებ თუ გაგრძელდა ეს ლანძღვა–გინება, თუ გაგრძელდა ამდენი ბილწი, მე მეტს არაფერს არ ვხედავ. მე კიდევ ვიმეორებ, რომ ყველაფერი დიდი მონაპოვარია ესა, თავისუფალი პრესის გარეშე ღმერთმა ნუ ქნას ჩემი ქვეყანა, მაგრამ დადგა დრო, რომ რაღაც ჩარჩოებში ჩაეტიოს ყველა და ყველამ ისწავლოს ესე იგი მიმართვაც...

# იძულებითი კომენტარი

პარლამენტის პრეს–კაფეში ქართული კულტურის საკითხებზე სასაუბროდ ლანა ღოღობერიძემ თავისი ძველი კოლეგები შეკრიბა.

დატრიალდა პრეს–კაფეს დიასახლისი მარი ლეჟავა. ისე გააწყო სუფრა, ქართული მოზაიკა გეგონებოდათ; თუმცა, ჩვენი ახალი ცხოვრების გადამკიდეს, გაუჩენელი არ გაუჩენია, ჩვეულებრივი ბუტერბროდები და ხაჭაპური იყო მაგიდაზე, მაგრამ გულით და სულით იყო მოტანილი, ამიტომაც სუფრა მეფურს ჰგავდა. მაგრამ რად გინდა რა? მოვიდნენ, მოისუფრეს, სამი საათი ილაპარაკეს და ეტყობა, სუფრის მოზაიკამ ზოგიერთში მოზაიკური გონების რეციდივი გამოიწვია. ადგა რეზო ამაშუკელი. სადღა იყო კულტურა, სადღა იყო სიტყვაუხვი ქართული, ჩვენმა „მარად ახალგაზრდა“ მწერალმა ისეთი სლენგი დააყარა პატივცემულ საზოგადოებას, რომ აულაბრელ კინტოსაც წააქცევდა. "სიბინძურეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მთელი ეს ავსიტყვაობა ჟურნალისტების მიმართ იყო გამოთქმული. თურმე ნუ იტყვით და წვირიან-დაუვარცხნელი ჟურნალისტი ქალები ჩვენს „ზეცით მოვლენილ“ პოეტს ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებიან და შემდეგ ყველაფერს უკულმა წერენ. რა თქმა უნდა, მის ასაკში ასეთი ფობიები მოსდით ხოლმე, მაგრამ ექიმის მეცადინეობით სიტუაცია შეიძლება გამოსწორდეს. რეზო ამაშუკელს კი, ეტყობა, მკურნალი აღარ გამოუჩნდა. დასანანი ისიცაა, დარბაზში მყოფმა არცერთმა კაცმა არ გააჩერა – სირცხვილია, ამით შენც გეჭრება თავი და ჩვენცო. პირიქით, სხვებიც სიცილ-ხარხარით შეხვდნენ მის გამოსვლას. მხოლოდ ლანა ღოღობერიძე შეეცადა სიტუაციის განეიტრალებას, მაგრამ საქმე უკვე გაფუჭებული იყო.

ჟურნალისტების ლანძღვას რომ თავი დავანებოთ, „მარად ნორჩმა“ საერთოდ ახალგაზრდობა გაიგდო ფეხქვეშ, რატომღაც -ქალაქით“ აპელირებდა. ვინ მისცა რეზო ამაშუკელს ქალაქი? ეს უკვე რაღაც ფობია კი არა, მანიაა. ცოდვაა ეს კაცი. ცოდვაა, რადგან მაშინ ხომ მოიჭრა თავი, როდესაც „ბოროტმა ძიებმა“ მისი ამგვარი მდგომარეობა ძალიან გონებამახვილურად გამოიყენეს და, ასჯერ უფრო ცოდვაა ახლა... ამდენი ხალხის გარკვეულწილად თანხმობა, კიდევ უფრო დაამძიმებს მის ისედაც არასახარბიელო მდგომარეობას. თუმცა, იქნებ მეშლება და პრეს–კაფეს სტუმრები სულაც ვერ იაზრებდნენ, რა დღეშია მათი მოძმე? რადგან რომან მიმინოშვილმაც გამოაცხადა, არავითარი მეოთხე ხელისუფლება პრესა არაა, ისინი ვერ განვითარდნენ სწორად და პოზიციები დაკარგესო. ამგვარად, პრესას რომ გაუსწორდნენ და ახალი კანონითაც დაემუქრნენ, ისევ კულტურის შესახებ გააგრძელეს სჯა–ბაასი. ისიც კი ითქვა, რომ კულტურის შესახებ პარლამენტმა კანონი მიიღო, ახლა თეატრზე მივიღებთ კანონს, შემდეგ კინოზე, მხატვრობაზე და მუსიკაზეო. ასე იცის კულტურის ქურუმთა. კანონმდებლობასთან მიშვებამ. თუმცა, იქნებ ხუმრობდნენ?

პრეს–კაფეს დიასახლისი კი გამეხებული იჯდა და დანა კბილს არ უხსნიდა. მათ კი, როგორც იქნა, მოიფიქრეს შეხვედრის დამთავრება და ამდენი კულტურული ხალხიდან მხოლოდ დევი სტურუას მოაფიქრდა დიასახლისს გამომშვიდობებოდა და მადლობა ეთქვა მასპინძლობისთვის.

P.S. ამ შეხვედრაზე ქალბატონმა ლანამ თქვა, მეც მწყინს, როდესაც პრესაში მაქილიკებენ და ირონიულად წერენ ჩემზეო.

**ნუ გგონიათ, რომ ჩასაფრებული ვართ და იმიტომ ვწერთ ამგვარად. კაცს შეიძლება ერთხელ ეშხუბო და თუ ვერაფერს გაიგებს, რას იზამ? ძაღლის ყბას ხომ არ გამოიბამ და ქვების სროლას ხომ არ დაიწყებ? ქვის სროლამ რაც მოგვიტანა, არ გესწავლებათ, თქვენც საკმაოდ ისროდით. მეორეც, ქართველების უმეტესობამ აგირჩიათ. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის არჩევნები, ფაქტი ფაქტად რჩება და ამიტომ რაღაცნაირად უნდა მოგიაროთ კიდეც. ქართველების ხასიათია ასეთი, შეცდომა თუ მოუვა მოძმეს, ერთხელ ეტყვის, ორჯერ და შემდეგ ხუმრობითა და იგავით ცდილობს პრობლემის გადაწყვეტას, თავისებურად ეფერება ამით გზასაცდენილსა და ურჯულს. ამიტომ უნდა გიხაროდეთ კიდეც, თუ ვინმე მსუბუქი იუმორით შეხედავს თქვენს საქციელს და დუმილით არ აგივლით გვერდს. რა ვქნათ, ჩვენი გლახა ჩვენ თვითონ უნდა შევინახოთ.**

**მანანა იაშვილი**

# მკვლელთა ოჯახის საგა

## ცოლმა მოკლა ქმარი, შვილმა მოკლა დედა. ოღონდ არა მამის მკვლელობისათვის...

8 მაისს უზენაეს სასამართლოში მოსამართლე შოთა ასათიანის თავმჯდომარეობით 1960 წელს დაბადებული, ალექსანდრე მაიოროვის სასამართლო პროცესი გაიმართა. განსასჯელს ბრალად ედება დედის – ნადეჟდა მაიოროვას განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ყველაფერი ასე დაიწყო: 1996 წლის 20 სექტემბერს, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ნადეჟდა მაიოროვა სტუმრად მივიდა ელენე ჯაბახიძესთან (განსასჯელის მეუღლე). ზემოთაღნიშნულ ბინაში იმყოფებოდა ალექსანდრე მაიოროვი. სამივემ დალიეს არაყი, რომელიც ნადეჟდა მაიოროვამ მიიტანა. დაახლოებით 02 საათზე ალექსანდრე მაიოროვმა მოსთხოვა დედას ნადეჟდა მაიოროვას, – ბინა რომ გაყიდე, ჩემი კუთვნილი თანხა მომეციო. ნადეჟდა მაიოროვამ თანხის მიცემაზე უარი განაცხადა. ალექსანდრე მაიოროვმა უარის შემდეგ ანგარებით და განსაკუთრებული სისასტიკით (ფეხისა და ხელის არაერთჯერადი დარტყმით სხეულის სხვადასხვა არეში ცემის შედეგად ნადეჟდა მაიოროვას მიაყენა მკერდის ძვლის მოტეხილობა, ღვიძლისა და ელენთის გახეთქვა და ნეკნების ორმხრივი მოტეხილობა) მოკლა ქალბატონი ნადეჟდა, რათა დაუფლებოდა თავის წილს და თავისი ფეხით გამოცხადდა პოლიციაში.

ცნობისათვის, 1978 წელს განსასჯელი ალექსანდრე მაიოროვი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის და სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის ნასამართლევია, რის შედეგად მას მიესაჯა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან იმ დროისათვის ის არასრულწლოვანი იყო. ამავე წელს, სხვა პირებთან ერთად, ა.მაიოროვმა სცადა გაქცევა, რის შედეგადაც მორიგე კონტროლიორის მკვლელობის თანამონაწილე გახდა. ა.მაიოროვი იქვე დააკავეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 1988 წლის 2 ოქტომბერს კი ა.მაიოროვი გაანთავისუფლეს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოკლული ნადეჟდა მაიოროვა ადრე ნასამართლევია ქურდობისა და აფექტურ მდგომარეობაში ყოფნის დროს ქმრის – ევგენი მაიოროვის მკვლელობისათვის. აგრეთვე ელენე ჯაბახიძე სამართალში მიცემული იყო მოქალაქის პირადი ქონების ქურდობისათვის.

წინასწარი გამოძიებისას, ბრალდებული ალექსანდრე მაიოროვი აცხადებს, რომ მე ვცემე დედა, მაგრამ მისი მოკვლა არ მინდოდაო.

სასამართლო პროცესი გრძელდება.

**ია ბუკოვსკაია**

## წყნეთის გზაზე აღმოჩენილი ნაღმები მოყვანილი იყო საბრძოლო მზადყოფნაში

ბი ჯი აის კორესპონდენტმა სარწმუნო წყაროდან შეიტყო, რომ თბილისი–წყნეთის გზის მეექვსე კილომეტრზე აღმოჩენილი ორი ნაღმი ნამსხვრევ-მიმართულებადი მოქმედების „MOH-090“ ტიპის იყო, რომლის სიმძლავრე სრულიად საკმარისია ბრონირებული ავტომანქანის გასანადგურებლად. ამ ნაღმების მოქმედების რადიუსი 90 მეტრს შეადგენს, ხოლო მოქმედების სექტორი 45 გრადუსს. ნაღმები პროფესიონალების მიერ იყო დამონტაჟებული – მათი მოქმედების სექტორი უწყვეტ 90 გრადუსს შეადგენდა, რაც გზაზე მოძრავი ობიექტის განადგურების გარანტიას იძლეოდა და მოყვანილი იყო საბრძოლო მზადყოფნაში. იგივე წყაროს ცნობით, ანალოგიური, ოღონდ ნაკლები სიმძლავრის „MOH-050“ ტიპის ნაღმები გამოიყენეს 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში.

## «მე არაფორმალი ვიყავი და გულში იგივე ვრჩები»

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა ქვეყნის არაფორმალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს. როგორც კინოს სახლში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, აღნიშნული ღონისძიება თავად ზურაბ ჟვანიას ინიციატივით გაიმართა და მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიღწევებისა და მათი სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის შედეგების შეჯამებას. შეხვედრას ორგანიზება გაუწია ამერიკულმა ორგანიზაციამ ISAR-GEORGIA. „მე ვიყავი არაფორმალი და გულში იგივე ვრჩები“ – განაცხადა შეხვედრის გახსნისას ზურაბ ჟვანიამ და აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მოძრაობის გაძლიერება საქართველოს დემოკრატიული განვითარების გარანტიაა. (ბი ჯი აი)

## ბოლშევიკური უზნეობის რეციდივები

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ დღევანდელ საქართველოში ადგილი აქვს ბოლშევიკური უზნეობის რეციდივებს. „ამის ნათელი მაგალითია ხელისუფლებაში მოკალათებული ნეობოლშევიკების კატეგორიული მოთხოვნა – „პანტელეიმონ გიორგაძემ გასცეს მიმალვაში მყოფი შვილის – იგორ გიორგაძის ადგილსამყოფელი“ – აღნიშნულია განცხადებაში. ქართველ სოცდეკებს ეს მოთხოვნა არაკაცურად და არაკონსტიტუციურად მიაჩნიათ. (ბი ჯი აი)

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საქმესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

### VI. ფედერალიზმი მართვის ოპტიმალურ მექანიზმთა თვალსაზრისით

თვალნათლივია, რომ ფედერაციის საკითხის გადაწყვეტაში თავისი ადგილი აქვს ამ მექანიზმთა გათვლასაც სამართავი ერთეულის სიდიდესთან მიმართებაში. ერთი მოხსენებისას ადგილობრივი მართვის თემისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (თბილისში) ვკითხე მომხსენებელს (ვ. ხმალაძე): „სამართავი ერთეულების გამსხვილებას რომ ესწრაფვით, გაქვთ თუ არა გათვლილი, რამდენ სულზე უნდა მოდიოდეს ერთი საავადმყოფო? ერთი პოლიციის განყოფილება? ერთი გამომძიებელი? რამდენი გამომძიებელი უნდა იყოს თავმოყრილი ერთ პროკურატურაში? რა მანძილზე უნდა იყოს სამართავი ერთეულის უშორესი სოფელი ადგილობრივი ცენტრისაგან?“ აღმოჩნდა, რომ არც ერთი ამ პარამეტრთაგანი გათვლილი არ იყო. დღეს ფედერალიზმის პროპაგანდა საქართველოში მისი ტექნიკური მხარისადმი მიდგომაშიც არასერიოზულობით ანუ საკითხისთვის საჭირო ანალიზის ჩაუტარებლობით ხასიათდება. მაგრამ ცხადია, რომ სახელმწიფო მოწყობის ამ ტექნიკური მხარისადმი სერიოზული მიდგომაც კი მხოლოდ მაშინ ხდება გადაწყვეტილებისათვის განმსაზღვრელი, როცა წინასწარ უკვე გარკვეულია საკითხის აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) და ტელეოლოგიური (მიზნობრივი) მხარე: *რისთვის* მინდა მე სახელმწიფოს ასეთი ან ისეთი ტერიტორიული მოწყობა – იმისთვის, (ან: მხოლოდ იმისთვის), რომ მართვა ოპტიმალური (ანუ ადვილი და მოქალაქეთა ინტერესების მაქსიმალურად მომსახური) იყოს თუ იმისთვის (ან: იმისთვისაც), რომ ცენტრის მიმართ ფედერაციული ერთეულების ან, პირიქით, ერთეულების მიმართ ცენტრის უფლებამოსილებების გაფართოება ან დაცვა მოხდეს? მარტივი ანალიზი გამოაჩენს, რომ ხსენებული აქსიოლოგიური და ტელეოლოგიური საკითხი, თავის მხრივ, დიდის მონაწილე პიროვნებათა (მმართველთა და სამართავთა) *თვითიდენტიფიკაციის*, მათ მიერ *ტერიტორიასთან თავის თავის იდენტიფიკაციის* და მოცემული ტერიტორიის *სახელმწიფოსთან* იდენტიფიკაციის მიმართულებასა და ინტენსივობის ხარისხზე.

სახელმწიფოს ნაწილის მართვა საერთოდ მართვის – ანუ პროცესთა წინასწარდასახული გეგმისა და ღირებულებათა წინასწარმოცემული სკალის შესაბამისად წაყვანის – ერთ-ერთი კერძო სახეა და მართვის მთლიანი სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. ნაწილის მართვის ცნება გულისხმობს ადგილობრივი მმართველის (ან მმართველი ჯგუფის) გარკვეულ დამოუკიდებლობას მოცემული რეგიონის გარეთ მდებარე საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრის მიმართ როგორც თვით მართვის განხორციელებაში, ისე თავის მმართველობით ფუნქციებთან მისვლაში (მაგალითად, თუ მისი თანამდებობა არჩევითია). მართვის ფუნქციათა განაწილებას ცენტრსა და ადგილს ანუ ადგილობრივ მმართველს შორის ორგვარი შესაძლო საფუძველი აქვს: ერთია საკურატორო (საზრუნავ) *თემათა* განსხვავებულობა (მაგალითად, ცენტრი არ განაგებს ნაგვის გატანას რეგიონში და ადგილობრივი მმართველი არ მონაწილეობს გზათა მშენებლობის სტრატეგიის დაგეგმვაში) ანუ ხსენებულ მართვათა მიერ ურთიერთშევსება; მეორეა ამ ორის მიზანთა და ამ მიზნების საფუძვლად მდებარე *ღირებულებრივ ორიენტაციათა* განსხვავებულობა, რასაც სხვა წყარო ვერა იქნება რა, თუ არა ერთის მხრივ რეგიონის, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს, როგორც მთელის, ინტერესთა სხვაობა, ანუ ესაა მართვათა *ურთიერთკომპრომისი*. იმისთვის, რომ რეგიონს ადგილობრივი მმართველიც ჰყავდეს, გარდა ცენტრალურისა, საფუძვლად კმარა ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების მიერ ერთმანეთის შევსების საჭიროება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. მაგრამ იმისთვის, რომ ადგილობრივი მმართველი თვითონ ადგილობრივი იყოს და, მით უფრო, ადგილობრივად არჩეული ანუ ადგილობრივთა წარმომადგენელი იყოს, ეს საფუძვლად არ კმარა. ამისათვის ბუნებრივია, რომ საფუძვლად ინტერესთა განსხვავების ფაქტორიც ანუ ზემოხსენებული კომპრომისის საჭიროების ფაქტებიც გავითვალისწინოთ.

ამ უკანასკნელ კონსტატაციას ერთი შემარბილებელი შენიშვნა უნდა დავურთოთ. შესაძლებელია, რეგიონის მოსახლეობის არჩევანი ემყარებოდეს არა მმართველის მიერ მისი სპეციფიკური ინტერესების დაცვას, არამედ მის მიერ ადგილობრივი და ზოგადსახელმწიფოებრივი ურთიერთჰარმონიაში მყოფი ინტერესების *კარგად* დაცვას, ანუ *კარგ* მართვას, როგორც ასეთს. არის თუ არა რეალიზებული ამგვარი მართვის ანუ იდეალური მართვის ეს შესაძლებლობა, ეს დამოკიდებულია, სხვა ფაქტორებთან ერთად, მმართველის თვითიდენტიფიკაციაზე, რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო მიმართებაში (თანხმობისაში ან წინააღმდეგობისაში) დგას რეგიონის მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციასთან. მმართველისა და მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციის ცნებაში იგულისხმება ის, თუ ვის (ადამიანთა რომელ მაკროჯგუფს) და რამდენად აკუთვნებენ ისინი თავისთავს, როგორ განსაზღვრავენ თავის შიდა-ჯგუფს (in-group) ანუ თავის ძირეულ „ჩვენ“-ს, ვის წარმომადგენლად და ელემენტად თვლის ეს მმართველი თავისთავს და ვის წინაშე. ეს თვითიდენტიფიკაცია არის მუდმივმოქმედი ფაქტორი, რომელიც თანაგანსაზღვრავს ადგილობრივი მმართველის ღირებულებრივ ორიენტაციას და, აქედან გამომდინარე, მის მიზანთსახვას. ამ განზომილებაში რეგიონალური მმართველისთვის – თუნდ ცენტრიდან დაყენებული მოხელისთვის და თუნდ ადგილზე არჩეულისათვის – ოთხი ძირითადი შესაძლებლობა არსებობს:

ა) მმართველი ადგილობრივი საზოგადოების (მოსახლეობის) ნაწილად თვლის თავს, იგი თავის (ერთ-ერთ) ვალად თვლის, ამ საზოგადოების (მოსახლეობის) და ამ რეგიონის კერძო ინტერესები დაიცვას;

ბ) მმართველი არაადგილობრივია. იგი ცენტრალური მმართველი აპარატის ნაწილად თვლის თავს, მისი შიდა-ჯგუფი არის სახელმწიფოს მოსახლეობა (ერი) მთლიანობაში, უფრო მცირე მაკროჯგუფთან თვითიდენტიფიკაცია მისთვის უცხოა;

გ) მმართველი არის რობოტი, იგი თავს აკუთვნებს მხოლოდ თავის ოჯახს, რომლის რჩენაც ჰმართებს, და შეუხრელად ასრულებს ამ რჩენის ერთადერთი მეთოდის – სწორად მართვის – მოთხოვნებს;

დ) მმართველი შემოქმედია, მისი ყველაზე ძირითადი ღირებულებაა საერთო სიკეთე. იგი ამოდის ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, რომლებიც, სხვათა შორის, ცენტრისა და ადგილობრივი საზოგადოების ჰარმონიასაც გულისხმობენ.

თვალსაჩინოა, რომ იმ ურთიერთშევსების მიღწევა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, წმინდა ტექნიკურ ამოცანად იქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრსა და რეგიონს შორის ინტერესთა ჰარმონია არსებობს. დაზუსტებისათვის დავძენთ, რომ აქ არსებითია არა იმდენად ობიექტური ინტერესები (ვთქვათ, ამა და ამ პროდუქტის ფასები), რამდენადაც მათი სუბიექტური აღქმა (მაგალითად, ნაკლებად ალბათია რეგიონი დაინტერესებული იყოს მოუსავლიანობაში ქვეყნის მასშტაბით, რათა საკუთარი უხვი მოსავლის ნაყოფი სარფიანად გაყიდოს). თუ ცენტრის მმართველობითი ფუნქციები განსხვავდება მხოლოდ მართვის საგნით (ნაგვის გატანა რეგიონის კომპეტენციაშია, სტრატეგიულ გზათა მშენებლობა – ცენტრისაში და ა.შ.), მაგრამ არა მიმართულებით, ანუ მართვის მიზნებით, მაშინ კონფლიქტისათვის საფუძვლის გაჩენა ნაკლებ ალბათია. მაგრამ თუ ცენტრალური და რეგიონალური მმართველის ფუნქციები სხვადასხვაა არა საგნით, არამედ ერთი და იმავე (ან დაახლოებით ერთი და იმავე) უფლებამოსილება-პასუხისმგებლობათა განაწილებით ამ ორ მხარეს შორის, მაშინ კონფლიქტის საფუძველი უკვე არსებობს. მართლაც, თუ ცენტრისა და რეგიონის მმართველობითი უფლებამოსილებები ერთსა და იმავე სფეროში განაწილებულია რაღაც გარკვეული პროპორციით, ანუ რეგიონისთვის ავტონომიის ამა თუ იმ დოზის განსაზღვრის სახით, ეს ნიშნავს ერთი და იმავე სფეროს რეგულირებაში ორი ურთიერთგანსხვავებული ან ურთიერთდაპირისპირებული *ნების* თანამოქმედებას, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიგვიყვანს კონფლიქტთან, თუ ადგილი ექნება შეგნებულ კომპრომისს მათ შორის. კომპრომისი, როგორც ცნობილია, ჰარმონია არ არის. იგი ნელი მოქმედების ბომბია, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყოველდღიურ საგანგებო ზრუნვას მოითხოვს. სსრკ-ს ავტონომიზმის პრაქტიკაში ურთიერთდაპირისპირებულ ნებათა, კერძოდ – ურთიერთდაპირისპირებულ ეროვნულ და ეთნიკურ ნებათა ასეთი კომპრომისი თითქოს მიღებული იყო, მაგრამ ეს კომპრომისი არ იყო არათუ ჰარმონია, არამედ თვით რეალური კომპრომისიც კი. იგი ძალთა რეალური თანაფარდობის ასახვად კი არ ითვლებოდა და მხარეთა ცნობიერ შეთანხმებას კი არ ემყარებოდა, არამედ იგი განისაზღვრებოდა მხოლოდ „დიდი ცენტრის“ სტრატეგიული ნებით და ითვლებოდა ყველას (ამ შემთხვევაში – ორივე მხარის) ურთიერთჰარმონიულ ინტერესთა ერთობლივ დაცვად, – ყველასთვის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების მიცემად, – არა ურთიერთშეზღუდვის, არამედ ერთობლივი ჰარმონიული გაშლა-აყვავების გამოხატულებად. ამ გარედან განსაზღვრული ჰარმონიის შედეგები ცნობილია; ბუნებრივია, რომ არაფორმალიზებული, ანუ ექსპლიციტური ურთიერთშეთანხმების გარეშე განხორციელებული ამ ურთიერთშეზღუდვის პირობებში კონფლიქტი კი არ ქრებოდა, არამედ ლატენტურ (ფარულ) მდგომარეობაში გადადიოდა და მან კიდეც იფეთქა იმ ფორმებით, რომელიც ვნახეთ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №40,41,42,43.

გაგრძელება იქნება

## „ჰაუ თრასთიმ“ დატოვა

ბრიტანულმა ორგანიზაციამ „ჰაუ თრასთმა“ დროებით დატოვა საქართველო. ორგანიზაციის წარმომადგენლები დანაღმვის საკითხებზე მუშაობდნენ და აპირებდნენ მდინარე გუმისთის მიდამოების, სოხუმის ჩრდილოეთ ნაწილისა და გალის რაიონის ნაღმებისგან გაწმენდას. „ჰაუ თრასთი“ ექვსი თვის განმავლობაში ცდილობდა საქართველოში პროექტის განხორციელებას. ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარემ გააჭიანურა მოლაპარაკება, ამიტომ „ჰაუ თრასთმა“ დატოვა საქართველო და ახლა ჩრდილოეთ კავკასიაში აპირებს საქმიანობის დაწყებას.

## ბაგაბში იმედით უყურებს მომავალს

„აფხაზური მთავრობის კურსი რუსეთთან ინტეგრაციასთან დაკავშირებით კვლავ უცვლელია“ – განაცხადა აფხაზთა პრემიერ-მინისტრმა სერგეი ბაგაბაშმა. მისი თქმით, აფხაზური ხელისუფლება იმედოვნებს, რომ გაუქმდება ეკონომიკური ბლოკადა და დაიწყება რუსეთის ინვესტიციათა მოზიდვა. „არ შეიძლება მოსკოვში ვერ ხედებოდნენ, რომ ეკონომიკური სანქციების შედეგად, პირველ ყოვლისა აფხაზეთის რუსული მოსახლეობა დაზარალდება“ – განაცხადა სერგეი ბაგაბშმა.

## აფხაზები სახელმძღვანელოს წერას იწყებენ

აფხაზთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ გამოსცა ბრძანება აფხაზეთის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შემდგენელი კომისიის შექმნის შესახებ. არძინბას ხელმძღვანელობით დაკომპლექტდა ისტორიკოსთა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ახალ სახელმძღვანელოზე სახელწოდებით „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები“.

## შპაკს იერიში ელანდება

„აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა რეგიონში საომარი ოპერაციების განახლებას გამოიწვევს“ – განაცხადა რუსეთის სადესანტო-მოიერიშე ჯარების სარდალმა გიორგი შპაკმა. მისი თქმით, საქართველოში და აფხაზეთში ჯერ კიდევ ვერ შეეგუენ სამშვიდობო პროცესს და ისინი საკითხების იარაღით გადაჭრას ცდილობენ.

## ქართველი მესაზღვრეები რუსების თვითმფრინავებს ათვალიერებენ

ქართველმა მესაზღვრეებმა დაიწყეს ვაზიანის აეროდრომზე განლაგებული რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების დათვალიერება. „ამიერიდან ვაზიანში მყოფი ყველა საჰაერო ხომალდი სასაზღვრო კონტროლს გაივლის“ – განაცხადა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალმა ვალერი ჩხეიძემ. მისი ინფორმაციით, ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ძალების ჯგუფის სარდლობა გაგებით შეხვდა საქართველოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას და ბოლო დღეების განმავლობაში არცერთი ინციდენტი არ დაფიქსირებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევან კენჭაძე: იტყვიან, აი, ჩვენ რომ სიმართლე დავწერეთ, იმიტომ გაგვათავისუფლესო...

მეორე გვერდიდან

ძლებლობას თუ არ სპობს, ძალიან აძნელებს. ამ პროცედურასაც უფრო ვაძნელებთ. ჯერ კაცმა აკადემიაში რამდენიმე წელი უნდა ისწავლოს, საგზაო პოლიციელად ჩამოყალიბდეს და ჩვენს რიგებში მერე მოვიდეს. სამსახურში მიღებაც განაწილებით მოხდება, რაც პრაქტიკულად მთლიანად გამორიცხავს შემთხვევითობას. იმიტომ, რომ სხვა მიიღებს, სხვა ასწავლის, სხვა გამოუშვებს და სამსახურშიც სხვა მიიღებს. ასეთი სისტემა ევროპაშია მიღებული და წერილში მოყვანილ ფაქტებსაც მთლიანად გამორიცხავს.

*– ესე იგი, საგზაო პოლიციის შემადგენლობა მთლიანად შეიცვლება?*

– დიახ. თანდათანობით აკადემიადამთავრებული კადრებით მოხდება სრული დაკომპლექტება. ახლა გაშვებაც ატესტაციით ხდება. რაც შეეხება გამოძალვის ფაქტებს, ამაზე მაქსიმალურად ვფრთხილობთ. ვატარებთ ფარულ და ღია შემოწმებებს, ხაზზე ვამოწმებთ მუშაობას. თუ საგზაო პოლიციელმა მანქანა გააჩერა და ან ოქმი არ შეადგინა, ან ჯარიმა არ გადაახდევინა მძღოლს, იგი სამსახურს ტოვებს. ვინაიდან გაჩერება მხოლოდ დარღვევის დროს უნდა მოხდეს. საბუთების შემოწმების მიზნით გაჩერება კი აშკარა გამოძალვაა. ამიტომ საგზაო პოლიციელთა ნაწილი ამას ვერ ეგუება.

*– წერილში ნათქვამია, რომ პოლიციელები იძულებულნი არიან ფული გამოძალონ, რადგან მათ ამ თანხას ოცმეთაური სთხოვს, რომელსაც შემდგომ დივიზიონის უფროსთან მიაქვს – იმას ზევით და ა.შ.*

– არ გამოვრიცხავ, რომელიმე ოცმეთაური ან უფრო დიდი თანამდებობის პირი ამას აკეთებდეს. ჩვენ გვაქვს სიები, თუ რომელი თანამდებობის პირი როდის ან რისთვის განთავისუფლდა. წერილის ავტორებს ერთი უზუსტობა გამოეპარათ. თუ ოცმეთაური დივიზიონის მეთაურს აძლევს, ის კი საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილესთან მიდის, მაშინ ერთი თანამდებობა აქვთ გამოტოვებული და მაშინ როგორ ნაწილდება ეს თანხა და ჩვენამდე როგორ მოდის, უკვე აღარ ვიცი. ერთი შუალედური რგოლი გამოტოვეს – თუ ისინი არ იღებენ, მაშინ სხვები იღებენო.

მე საგზაო პოლიციელიც ვიყავი და მსგავს საქმეში გარეული არ ვყოფილვარ. მათაც ვურჩევ თავი ანებონ გამოძალვას, ვინაიდან კანონით ქრთამის მიმცემიცა და ამღებიც ისჯება. ამიტომ ნუ ეგონებათ, რადგან ამას აცხადებენ, პასუხისმგებლობიდან განთავისუფლდებიან. თუ აცხადებენ, წინასწარ უნდა თქვან და არა მომხდარი ფაქტის შემდეგ – გუშინ, ან გუშინწინ მივეციო.

*– მართლაც არსებობს „ცუდი" და „კარგი" ადგილები, რომელთა განაწილებაც გარკვეული თანხა ჯდება?*

– რუსთაველზე დგომა საგზაო პოლიციელს არ უნდა, ვინაიდან მეტი კონტროლია. სულ რომელიმე ხელმძღვანელი დადის ან ამოწმებს. ამიტომაც პოლიციელის ყოველი მოქმედება თვალში საცემია. სხვა რაიონებში კი მეტი თავისუფლება აქვთ. შეუძლიათ კანონის დარღვევით იმუშაონ, მძღოლი მანქანაში ჩაისვან და დარღვევები გააკეთონ. ამიტომაც არ აწყობთ ცენტრალური ადგილები. მე მგონია, რომ კარგ პოლიციელს რუსთაველზე დგომა უნდა უნდოდეს.

*– რატომ აძალებთ წიგნებისა და გაზეთების შეძენას პოლიციელებს?*

– ასეთი შემთხვევები ხდება. იყო პერიოდი, როცა გაზეთებსაც და მწერლებსაც უჭირდათ. ჩვენ არავის ვაძალებდით. იყო თხოვნა, თუ შეძლებდნენ გამოწერას და შეძენას. არავის არ უთქვამს არ შევიძენთო. ამას სამინისტროც ნელ-ნელა საკუთარ თავზე იღებს.

*– ყოველ შემთხვევაში გაზეთ „საქართველოს" არ უთხოვია თქვენთვის გასაღებაში ხელშეწყობა (საინტერესოა, რომელია ის „ბედნიერი" გაზეთები, ესოდენ დიდ ყურადღებას რომ უთმობს პოლიცია და რისი დათმობის ფასად ხდება ეს? კიდევ ერთი კითხვა – რატომ არ ეწევათ შეღავათები ნაომარ თანამშრომლებს და რატომ არიან ისინი მოხალისეებად გაფორმებული, როდესაც ბრძანებით წაიყვანეს ომში?*

– ჩემთვის გაუგებარია, რა შეღავათებს ითხოვენ სამშობლოს დასაცავად წასულნი. დანაშაულისაგან არავინ თავისუფლდება, რანაირი გმირიც არ უნდა იყოს. თუ დააშავებს, რა თქმა უნდა, გავანთავისუფლებთ. თუ ვინმე დაიჭრა, მათ გარკვეულ შეღავათებს ვაძლევთ. მაგალითად, ერთმა თანამშრომელმა თვალი დაკარგა. წესით და კანონით ასეთი ადამიანის ყოლა არ შეიძლება, მაგრამ გამოვუნახეთ შესაფერისი სამუშაო ჩვენივე დანაყოფში. მეორემ ფეხი დაკარგა და ისიც დავასაქმეთ. ამაზე ლაპარაკი როგორ შეიძლება, ხომ მუშაობენ და ხომ ცოცხლები არიან.

*– აქ ლაპარაკია იმაზე, რომ როცა დასჭირდათ ომში წაგვიყვანეს, ახლა კი სამსახურიდან გაგვყარიანო.*

– არა ბატონო, ეგრე არ არის. შეიძლება იბრძოდა, მაგრამ მუშაობა არ იცის. თუ დანაშაულს ჩაიდენს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იყო თუ არა ომში ნამყოფი.

*– როგორ გეგმავთ წინასწარ დამრღვევ მძღოლთა რაოდენობას?*

– ესეც არასწორი დამოკიდებულებაა. არსებობს საგზაო პოლიციელის შეფასების კრიტერიუმი. თავად პოლიციელი, დანაყოფი ფასდება თვის, კვარტლის, ნახევარწლის შედეგებით, მის სამოქმედო უბანზე როგორი ავარიული მდგომარეობა იყო. ჩვენი მოვალეობა ხომ უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფაა. ბოლოს შედეგებს ვაჯამებთ – რამდენი ავტოავარია რა მიზეზით მოხდა – სიმთვრალით, სიჩქარის გადაჭარბებით, არასწორი გასწრებით. ჩვენ ვეკითხებით – ამ ხნის განმავლობაში რამდენი დამრღვევი გამოავლინეთ? ე.ი. ამ ავტოავარიათა გამომწვევი მიზეზით რამდენი დამრღვევი გამოვლინდა.

ვთქვათ, კვარტლის განმავლობაში 100 შემთხვევა მოხდა. აქედან თუ პოლიციელს გამოვლენილი აქვს გაცილებით ნაკლები, მაშინ ლოგიკურად გამოდის, რომ ეს კაცი არ მუშაობს. შეიძლება გამოავლინა კიდეც, მაგრამ თანხა ჯიბეში ჩაიდო. თუ მის უბანზე წესრიგი იქნება, ხმას არ გავცემ.

*– ამ წერილს თუ მოჰყვა სამინისტროს მხრიდან რეაგირება?*

– სამინისტრო აფასებს ჩვენს მუშაობას. ავტორთა გვარები კიდევ მეტი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან წესრიგის დამყარება მტკივნეული პროცესია. აბა, რომელ პოლიციელს მოეწონება მკაცრი მოთხოვნები?

*– პარლამენტში მიმდინარეობს საგზაო წესების გამკაცრების სანქციების განხილვა. პარადოქსი არ არის?*

*– თუ მძღოლს ნარკოტიკული საშუალება აქვს მიღებული, მას მართვის უფლებას ართმევენ, ან აჯარიმებენ, ხოლო თუკი ქუჩაში დაიჭირეს კაცი, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიდის.*

თუ მძღოლი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშაა, მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება. თუკი მას ჯიბეში უნახეს ნარკოტიკი, მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს.

რა თქმა უნდა, ნასვამ მძღოლებზე მეტად, ნარკოტიკის მომხმარებელი უფრო მკაცრად აგებს პასუხს.

ამით მორჩა ჩვენი საუბარი. ბატონო ლევანი სამინისტროში მიიჩქაროდა...

ესაუბრა
გუბაზ მეგრელიძე

# აქა ამბავი გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტისა და კომპარტიის გენერალური მდივნის პანტელეიმონის მედგარი ბრძოლისა...

ᲞᲐᲜᲢᲔᲚᲔᲘᲛᲝᲜ გიორგაძეს სახლში, თავისი კაბინეტის სამივე კედელი წიგნებითა აქვს სავსე. ერთ-ერთ თაროზე შვილის ფოტოსურათებია; ხოლო კუთხეში, სადაც მორწმუნეები ჩვეულებრივ ხატებს განათავსებენ ხოლმე, ლენინისა და სტალინის პორტრეტები დევს. ბიბლიოთეკა ჩვეულებრივი, საბჭოთა დროის გამოცემებია, უცხოური თუ რუსული კლასიკოსების ტომეულები ერთმანეთს ცვლის. სოლჟენიცინის „გულაგი" კი, ეტყობა, სპეციალურად დევს „დონ კიხოტის" გვერდით, რათა მნახველს კითხვა გაუჩნდეს, მაგრამ მე არაფერსაც არ ვეკითხები და საერთოდ, საუბრის დასაწყისიდან რამდენიმე წუთში ყოველგვარი კითხვის სურვილი მეკარგება. არა თუ კითხვის, არამედ მოსმენისაც და რედაქტორს გულში გურული ქალის „ლოცვით" მოვიხსენიებ ამასთან გამოგზავნისათვის...

საუბარი რუსულ-ქართულად მიმდინარეობს. მეც ზოგჯერ ჩავურუსულებ ხოლმე და ჩვენი მოხუცი ბელადიც ძალიან წიგნისმიერი ქართულიდან უცებ გადადის და ლაღად იწყებს სხმარტალს რუსული ენის დიდ მორევში. კითხვის გარეშე იხსენებს ნოდარ ნათაძესა და ზვიად გამსახურდიას. გასაგებია მისი ამგვარი ინიციატივა, პრესის მეშვეობით ცდილობს დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკური ძალების შემოკრებას. და ბოლოს ამატებს: „განსაკუთრებით ძნელია თქვენი გაზეთის წაკითხვაც, რადგან თქვენ ბეჭდავთ ცალმხრივ, ერთმნიშვნელოვან პოზიციას მყარი არგუმენტის გარეშე, ეთიშებით თქვენს მეზობელ ქვეყანას".

*– თქვენ არ ფიქრობთ, რომ გაქვთ ასევე ცალმხრივი მიდგომა, როდესაც გსურთ კომუნისტების მმართველობის ქვეშ აღადგინოთ საბჭოთა კავშირი? –* ვეკითხები მე.

– დიახ, გაზეთებში ასე წერია, რომ მე საბჭოთა კავშირის აღდგენა მსურს. მე ძალიან ვნანობ, რომ არ არის საბჭოთა კავშირი. ჩვენდა საუბედუროდ, იმის აღდგენა შეუძლებელია, აღდგება სულ სხვა კავშირი.

*– როგორი კავშირი გესახებათ, რომ აღდგეს?*

– თქვენ ალბათ საქმის კურსში ხართ, რომ სამხრეთ ამერიკაკანადა და მექსიკა გაერთიანდა და შექმნეს თავისუფალი სავაჭრო ზონა. ეს დიდი საქმეა, ეს არის ეკონომიკური ურთიერთობები.

შემდეგ ბატონმა გიორგაძემ ვრცლად დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა გაერთიანებებზე საუბარი. გადაწვდა გაეროს, ევროკავშირს, წყნარი ოკეანის ქვეყნებს და ა.შ.

– რატომ მაკრიტიკებთ, საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდაო, თუ ისინი გაერთიანდნენ, რატომ არ შეიძლება დსთ-ს 20 ქვეყანა იყოს ერთად? – სიტყვას მიბრუნებს ბ-ნი პანტელეიმონი.

რას ვგავართ დღეს? დღეს რა კარგია? 200 უნიკალური სამრეწველო საწარმო დანგრეულია, 5500 არ მუშაობს.

*– დაგითვლიათ რუსეთში რამდენია დანგრეული?*

– ეგ რა შუაშია?

*– რა და მკვდარი მკვდარს ეკიდებაო...*

– აბა ისაა კარგი, თურქული პროდუქტი რომ შემოდის?

*– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ჩვენ ჩვენი მრეწველობა უნდა ავაღორძინოთ.*

– ძველი კავშირების გარეშე არაფერი გამოვა.

*– თქვენი პარტია როგორაა სტრუქტურულად აწყობილი, თქვენ ფილიალი ხართ ერთიანი საბჭოთა კომუნისტური პარტიის თუ როგორ?*

– ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების, ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არსებობს კომუნისტური პარტიები. ისინი დამოუკიდებელი არიან, ჩვენც დამოუკიდებელი ვართ. მაგრამ არის ერთიანი საბჭო, სადაც ვღებულობთ მონაწილეობას.

*– როგორც თქვენი საუბრიდან გამოჩნდა, თქვენ გამოდიხართ ეკონომიკური ერთიანობის ლოზუნგით და არა პოლიტიკური ერთიანობის ძველი საბჭოთა კავშირის სივრცეში?*

– ეკონომიკური, სამხედრო! – დაიქუხა გენერალმა და პირდაპირ იერიშზე გადმოვიდა – რას კანკალებთ, თქვენ ცხოვრება არ გინახიათ, თქვენ არ იცით რა არის სამშობლოს დაცვა, უშარვლოდ ივლით და არავინ მოგეხმარებათ, არც ნატო, არც სენტო და არც სიტო! აი, ასე.

*– რომელი სამშობლოსი?*

– დამაცადეთ! ეკონომიკური ინტეგრაცია, სამხედრო ინტეგრაცია, მეცნიერულ-კულტურული ინტეგრაცია, პოლიტიკური ინტეგრაცია. მთავარი მაინც ეკონომიკური ინტეგრაციაა! – ქუხდა პანტელეიმონი.

ასეთი შეურაცხყოფის მოთმენა ძნელი იყო, ხოლო კომუნისტების პროვინციელი ბელადი არ ჩერდებოდა და ახლა თავისუფლების ცნება გაეგდო ფეხქვეშ, სოციალური პრობლემების აპელირებით, შიმშილით და დანგრეული ეკონომიკით კუთხეში იმწყვდევდა ჩვენს ხელით საგოგმანებელ, სათაყვანებელ და ამდენი მსხვერპლით მიღწეულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

*– თქვენ ქართველი ხართ? რატომ არ გინდათ ნორმალურად განვითარდეს ჩვენი ქვეყანა?*

– აბა რა ვარ. – ხმა ჩაიწყნარა გენერალმა – თქვენთვის რას ნიშნავს ნორმალური?

– ნორმალური ნიშნავს დამოუკიდებელს. – ვუპასუხე მე და უკვე აღარ ვიყავი არავითარი თავისუფალი კორესპონდენტი. დაიწყო კამათი, სხვათაშორის, არაფრის მომცემი არც ერთი მხარისათვის, რადგან ვერც მე დავაჯერებდი რამეს სუყის გენერალს და ვერც ის გადამიყვანდა თავის ჭკუაზე. შემდეგ გენერალმა „გამიმხილა", რომ ედუარდ შევარდნაძის უსაფრთხოებას ამერიკის (ცესესე) უზრუნველყოფს, იქ მომზადებული ქართველი სპეციალისტებისაგან. როდესაც საქმე სამხედრო მშენებლობას შეეხო, ძალიან გამიჭირდა ვარდიკო ნადიბაიძის პოლიტიკის დაცვა. გენერალი ზეიმობდა. მან ისიც გამოაცხადა, რომ საქართველომ ყოველგვარი ეკონომიკური კავშირი გაწყვიტა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. მომიხდა შეხსენება, რომ ასეთი კავშირი არსებობს, თუმცა პანტელეიმონ გიორგაძისათვის ეს საკმარისი არაა.

– საქართველომ თვითონ შეიტანა წვლილი იმაში, რომ დაიშალა საბჭოთა სახელმწიფო – მისტირა წარსულს გენერალმა – მე პრეზიდენტსაც ვუთხარი: რაც არ უნდა დავაბრალოთ ჩვენ რუსეთს, ჩვენ უნდა გვცოდნოდა, ვინ გვიწევს წინააღმდეგობას. დღესაც უნდა ვიცოდეთ, არც ოსეთი დაგვიბრუნდება ჩვენ ამ პოლიტიკით, არც აფხაზეთი, დავკარგავთ აჭარასაც, დავკარგავთ სამცხე-ჯავახეთსაც – წინასწარმეტყველებდა გენერალი – რატომ? იმიტომ, რომ ხაზი ავირჩიეთ ისეთი, სადაც ხალხი არ მოგვყვება. იცით რა ხდება საქართველოში? რა ხდება და უმართავია საქართველო – იგი სიამოვნებით ახდენდა ფაქტების კონსტატაციას და ინტერვიუს მიზანი, იგორ გიორგაძის შესახებ მეკითხა რამე, არაფრით არ ჯდებოდა მისი პარტიული მონოლოგ-პროგნოზის თემაში. შემაშფოთებელი ის იყო, რომ ჩვენი ყოფის შესახებ უმეტესად სიმართლეს ამბობდა, თუმცა დასკვნებს თავის სასარგებლოდ ურევდა და ამყარებდა თეზას: „რუსეთოდ დავიღუპებით". – ვერ ხედავთ, რომ რამდენიც ჩვენ ვიძახეთ – ჩამოვცილდეთ რუსეთს, შევწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი – იმდენი წინააღმდეგობა შეგვხვდა?

*– ესე იგი რუსეთი აკეთებს ამას სპეციალურად, არა?*



– დიახ ასეა.

*– ესე იგი არ გვიშვებს რუსეთი?*

– ჩვენ კი არ გვიშვებენ, ჩვენ არ უნდა მივრბოდეთ. ახლა ჯავახეთმა თუ დაიწყო კიდევ რეფერენდუმის ჩატარება და აჭარას გაუკეთებთ ბლოკადას, როგორ ფიქრობთ, სადაა საქართველო? ცხინვალი არ იქნება, სოხუმი არ იქნება, ბათუმი არ იქნება, ახალქალაქი არ იქნება.

*– რუსეთთან რომ ვიყოთ, ყველაფერი იქნება არა? –* ირონია ვერ დავფარე.

– არაა საჭირო ესა, თქვენ ძალიან გაწუხებთ...

*– რა თქმა უნდა, მაწუხებს, თქვენნაირების ხელით კეთდება ეს.*

– თქვენ უბრალოდ ალერგია გაქვთ რუსეთზე – ბრჭყალები გამოაჩინა გენერალმა და პირად შეურაცხყოფაზე გადავიდა ჩემი ინტელექტის შესახებ.

*– თქვენზე და არა რუსეთზე – არ შევეპუე მეც – ვფიქრობ, რომ თქვენ უბრალოდ გარუსებული ხართ და თვითონ ვერ გრძნობთ ამას.*

– ჩემს ოთახში ხართ და ჩემს ეროვნებას ეხებით – გადაირია გენერალი. ფეხზე წამოვდექი, აღარაფერი საქმე არ მქონდა აქ, რადგან ეს კაცი რა შვილსაც გაზრდიდა, ისედაც გასაგები იყო. გენერალი გაცეცხლდა, ცოტაც და მე თუ არა, დიქტოფონს გამოუყვანდა წირვას. კარისაკენ წავედი, გენერალმა თეატრალური ჟესტით გაალო კარები ფართოდ. ძალიან სასაცილო სიტუაცია იყო, თუმცა, მეორე მხრივ, იქნებ საჭიროა უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ ამ პერსონას, რომელსაც ზურგს ტერორისტი შვილი და მისი პატრონები უმაგრებენ. ერთის მხრივ, მისი ბაქი-ბუქი და „ბრავირება" შეიძლება ულონობისაგან და მზარდი საშიშროებისაგან იყოს, რადგან პოლიტიკაში მყარად მყოფი, დარწმუნებული კაცი ამგვარად არ ლაპარაკობს, მეორეს მხრივ კი, იქნებ დასაფიქრებელია მისგან სიტუაციის ასე გაშიშვლება: „ცხინვალი, სოხუმი... ბათუმი, ახალქალაქი".

ბატონ ედუარდს არ უყვარს, როდესაც ჩემი თაობა რაღაც პროგნოზებს აკეთებს ხოლმე და ამას ფანტაზიებს ეძახის. მაგრამ რაც მის თაობას და მის გარემოცვას არ სჭირდებოდა, ჩვენ, ჯერ კიდევ კომუნისტებისა და მის პირველ მდივნობამდე დაგვჭირდა, ინფორმაციას სტრიქონებს შორის ვკითხულობდით, პროგნოზებსაც ვახდენდით და ბევრი მათგანი გამართლდა კიდეც. ერთხელ ვთქვი, დრო მოვა და შევარდნაძის დაცვაც დამჭირდება-მეთქი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შეიძლება ეს პროგნოზი გამართლდეს, რადგან წინამდებარე საუბარში რამდენჯერმე დამჭირდა მისი, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელის დაცვა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, მამაშვილი გიორგაძეების ამოტივტივება იმიტომ იყოს საჭირო, რომ ჩვენ ყველაფერი მოვითმინოთ, ნაუცბათევი მშვიდობისა და თითქმის ილუზორული დემოკრატიის პირობას დავჯერდეთ და ასეთი განწყობის ტალღაზე შევარდნაძემ და მისმა გუნდმა იგივე ჩუმად შემოგვაპაროს, რაზედაც პანტელეიმონ გიორგაძე მხოლოდ ოცნებობს.

მანანა იაშვილი

# რა გინდათ, რა გული გამიწყალეთ, ხომ ხედავთ, საქმე არსაიდან გამოგდითო — გვითხრა შვილმკვდარ დედებს...

*ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ შვილმკვდარი დედები კრწანისის სამთავრობო სასახლესთან დახვდნენ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც გულისყურით მოუსმინა მათ და სათანადო ორგანოებს საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე ააყვანინა. გთავაზობთ ერთ-ერთი დედის, მოქალაქე შალუტაშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებას მომხდარი უბედურების შესახებ; რომელიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ბ-ნ გურამ ფანჯიკიძემ გადმოგვცა ზავნა.*

1995 წლის 21 მაისს ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის (ნუცუბიძის ფერდობი) მე-3 სართულზე მე-11 ბინაში მცხოვრებმა ირაკლი დავითის ძე გეგენავამ უმიზეზოდ დანით მოკლა ჩემი ვაჟიშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი იუზა იურის ძე ელბაქიანი.

ეს ამბავი ასე მოხდა - წამოვიწყეთ ბინის კაპიტალური შეკეთება, როდესაც მუშებმა დაიწყეს ლოჯიის დანგრევა, ჩემი შვილი იუზა იურის ძე ელბაქიანი ჩავიდა ეზოში და გააფრთხილა კორპუსის მაცხოვრებლები, მორიდებოდნენ ამ ადგილს დროებით. მასთან ერთად ეზოში სკამზე იჯდა მეზობელი ნანა ქობულაძე, რომელიც სხვა მეზობლებთან ერთად თვითმხილველია მომხდარი ფაქტისა.

ცოტა ხნის შემდეგ კედლის ამოშენებისას მოწყდა გაჯის პატარა ნატეხი და შემთხვევით დაეცა III სართულზე მცხოვრებ გეგენავების კონდენციონერს. მომხდარი ფაქტის გამო ირაკლი გეგენავამ გამოიხედა ფანჯარაში და დაუწყო უშვერი სიტყვებით ლანძღვა ჩემს შვილს, თან დაჟინებით მოითხოვდა მისულიყო მასთან სახლში. როდესაც იუზამ დააპირა მისვლა, მეზობელმა დაუშალა, რადგან ირაკლის ყველა იცნობდა, როგორც უსაქმურს, ქურდს და ნაძირალას, მაგრამ ჩემი შვილი, დარწმუნებული თავის უდანაშაულობაში, გულდანდობილად მივიდა. თან ეუბნებოდა თურმე, დაწყნარდი „ირა", თუ რამე გაგიფუჭეთ, ყველაფერს გაგიკეთებთო. მას აინტერესებდა ენახა, რა გაუფუჭა ასეთი, გაჯის პატარა ნატეხმა ირაკლი გეგენავას, ასე გამეტებით რომ ლანძღავდა და ვერ წარმოედგინა, რომ მას მოსაკლავად ეძახდა. მითუმეტეს, ჩემს შვილს ირაკლისთან, გარდა მეზობლური კეთილი სალმისა, არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ,



როდესაც გამხეცებულმა უსაქმურმა ჩემი შვილი მოკლა, სახლში იმყოფებოდნენ მკვლელის დედა მანანა ერისთავი და დაც - თეონა გეგენავა. ეჭვს იწვევს ის გარემოება, თუ რატომ არ უშველეს მათ ჩემ შვილს და რატომ მიიყვანეს მკვლელობამდე საქმე. დედამისმა მხოლოდ მაშინ ატეხა ყვირილი და მოუხმო საშველად ხალხს, როდესაც იუზა მეზობელმა სასიკვდილოდ დაჭრილი სადარბაზოს კიბეებზე დაგდებული ნახა და ამის შესახებ ირაკლის დედას, მანანა ერისთავს აცნობა.

მანანა ერისთავი მომხდარ სიტუაციაში სწრაფად გაერკვა და მოსალოდნელი შედეგების თავიდან ასაცილებლად ამ „გამოცდილმა" ქალმა (მას ხომ არაერთხელ ჰყავდა გადარჩენილი თავის შვილი პასუხისგებას) რაღაც წამებში თავისი ნაძირალა, ქურდი, უსაქმური და ბოლოს, მკვლელი შვილი სახლიდან გააპარა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა გარეთ და მეზობლებს დაეხმარა იუზას საავადმყოფოში გადაყვანაში. გზაში კი გულის არეში დაჭრილს მასაჟებს უკეთებდა, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო, ნუთუ მან, პროფესიის ექთანმა ეს არ იცოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაჭრილის საავადმყოფოში მიყვანისას მანანას მამა გივი ერისთავი რომელიც პროფესიის ქირურგია, უკვე იქ აღმოჩნდა. ოპერაციის დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩემი შვილის „გადარჩენაში".

როდესაც იუზა გარდაიცვალა, დაიცალა სისხლისაგან, მანანა, ვითომ ძალიან შეწუხებული, რეანიმაციაში იმყოფებოდა, საიდანაც სასწაულებრივად გაქრა. ასევე გაქრა ჩემი შვილის გასისხლიანებული პერანგი, რომელსაც მკაფიოდ ეტყობოდა ორი დანის ნაჭრილობევი, თანაც დანა საოჯახო კი არ იყო, არამედ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები სპეციალურად რომ აკეთებენ, წვრილპირიანი.

მკვლელის დედა დაიმალა 4 დღე და მილიციამ ძლივს მონახა, რომ ჩვენება ჩამოერთმია. ჩვენებაში კი მან აღნიშნა, რომ იგი მომხდარი ფაქტის გამო ცუდად გახდა და წარმოადგინა რესპუბლიკური საავადმყოფოდან ცნობა ამის დასტურად, რომლის ფიქტიურობაში არავის ეჭვი არ ეპარებოდა. მითუმეტეს, მას დაავიწყდა, რომ შემთხვევის მეორე დღეს ჩვენს მეზობლებს შეხვედრია ბაზარში ჩანთებით დატვირთული და სრულიად მშვიდად უკითხავს მათთვის, თუ რა ხდება ჩვენთან...

მიუხედავად ექსპერტებისა და გამომძიებლის დიდი მცდელობისა, საავადმყოფოში არ გამოაჩინეს ჩემი შვილის სისხლიანი პერანგი, ამიტომ გამწარებული ქალი იძულებული გავხდი ჩავსულიყავი და ფეხზე დამეყენებინა მთელი საავადმყოფო, რის შემდეგაც, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, შეშინებულებმა მომცეს იუზას პერანგი (ეჭვი არავის ეპარება, რომ პერანგის გაქრობა მანანას მამის და დის „დიდი დამსახურება" იყო).

მკვლელობის დღეს მოვიდნენ ვაკის რაიონის პოლიციიდან შემთხვევის ადგილზე და დალუქეს გეგენავების ბინა უბრალო პლასტელინით ისე, რომ ჩხრეკა არ უწარმოებიათ, მეზობლები არ დაუკითხავთ და ვინაიდან მკვლელი თავიდანვე ცნობილი იყო და მისი დაკავება სულ ადვილი იყო, კვალს არ გაჰყოლიან მის დასაკავებლად, რითაც მას მიმალვის საშუალება მისცეს. მათ არც მეზობელთა მიერ შეტანილ კოლექტიურ განცხადებას და მათ თხოვნას არ მიაქციეს ყურადღება და არაფერი უპასუხეს, რამაც ჩვენი და მეზობლების გულისწყრომა გამოიწვია. მათ ჩხრეკა არ ჩაატარეს მაშინვე გეგენავების ბინაში, რითაც დამნაშავის დედასა და დას მისცეს იმის საშუალება, რომ მოესპოთ ნივთმტკიცება, მიემალათ მკვლელობის იარაღი და მიელაგებინათ სახლი.

მკვლელობის მეხუთე დღეს ჩვენი და მეზობლების ძალდატანებით ვაკის რაიონის პროკურატურამ და პოლიციამ ჩაატარა ჩხრეკა ირაკლი გეგენავას ბინაში, საიდანაც ამოიღეს 8 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, ხელყუმბარა და სხვა.

აქვე აღვნიშნავ: 1995 წლის მაისის თვეში, როცა ჩხრეკა ჩატარდა, ვაკის რაიონის პროკურატურამ გეგენავა ირაკლის საცხოვრებელი სახლი დაქულა; ხოლო 1995 წლის 6 დეკემბერს ირაკლი გეგენავას ნათესავები მოიჭრნენ და დალუქული ბინიდან გაიტანეს ძვირფასი ნივთები, რის მოწმეებიც მეზობლები არიან. ამ შემთხვევის გამო გამოძახებული იქნენ ვაკის რაიონის პოლიციის მუშაკები, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ჩემს მეზობლებს. ისინი გეგენავების ნათესავებს მოუწოდებდნენ, დღე რატომ მოხვედით, ასეთ საქმეზე ღამით უნდა მოსულიყავითო...

მომხდარი საქმის გამო მე და ჩემმა მეუღლემ მივმართეთ ვაკის რაიონის პოლიციის უფროსს ბატონ მაისურაძეს. ჩვენ ვკითხეთ მას, მისი ნებართვით იყო თუ არა გახსნილი ირაკლი გეგენავას დალუქული ბინა. ვაკის რაიონის პოლიციის უფროსმა გვიპასუხა, რომ აღნიშნული ბინის შესახებ არაფერი იცოდა, შეიძლება ვაკის რაიონის პროკურატურამ მისცა ნებართვაო და დაიწყო ყვირილი, რა გინდათ, რა გული გამიწყალეთ, რაღას დადიხართ, ხომ ხედავთ საქმე არსაიდან არ გამოგდითო,- გვითხრა შვილმკვდარ დედებს. ამ პასუხით მოთმინებიდან გამოსულმა ჩემმა მეუღლემ სკამი დააგდო მაგიდაზე, რის გამოც ვაკის რაიონის პოლიციის უფროსმა ბატონმა მაისურაძემ ჩემი მეუღლე საკანში მოათავსა, როგორც იქნა იქიდან დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გამოუშვეს...

ასე რომ, გამოძიება თავიდანვე ტენდენციურად დაიწყო. თუმცა ეს ამბავი არავის არ გაჰკვირვებია, ვინაიდან ირაკლი გეგენავა მკვლელობამდე ბევრჯერ ყოფილა დაკავებული ქურდობაზე, რომელიც მოწმეთა ჩვენებით ყოველთვის უმტკიცდებოდა, მაგრამ ვაკის რაიონის პოლიციის წყალობით ყოველთვის უდანაშაულოდ გამოდიოდა და რაც მთავარია, არც ერთი შემთხვევა არ არის ფიქსირებული. თუმცა ამავე საქმეებზე მასზე უფრო ნაკლებად დამნაშავეები აღრიცხვაზე აყვანილები არიან და სასჯელსაც იხდიან. გარდა ამისა, მეხუთე წელია მკვლელის მამა დავით გეგენავაც ვალუტის მაქინაციებთან დაკავშირებით ძებნაშია.

ახლა გვეუბნებიან, რომ დამნაშავე იძებნება, მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა მკვლელის იმთავითვე დაჭერა, როცა დღისით-მზისით გამოგვისალმა შვილი სიცოცხლეს, ნუთუ ისე სწრაფად მოასწრო მან მიმალვა?

ზემოთ აღნიშნულის გამო ჩვენ დახმარებისათვის მივმართეთ და შევაწუხეთ ყველა ზემდგომი სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელობა, მაგრამ საშველი დღემდე არ ჩანს.

## „ჩვენ შეგვიძლია დავიბრუნოთ აფხაზეთი იარაღით"



„ჩვენ შეგვიძლია დავიბრუნოთ აფხაზეთი იარაღით, ხოლო მთელმა საქართველომ ძლიერი ზურგი უნდა შეგვიქმნას", - განაცხადა პრეს-კონფერენციაზე აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა. მისი თქმით, ადრე საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტი მხარს უჭერდა აფხაზეთის ძალით დაბრუნების იდეას, დღეს კი ამ იდეას მოსახლეობის 90 პროცენტი უჭერს მხარს. „ამისთვის წლობით მუშაობა დაგვჭირდა", - აღნიშნა ნადარეიშვილმა. (ბი ჯი აი)

## აღშფოთებულებმა რისხვა ჟურნალისტებს დაატეხეს

თბილისელებმა - განსხვავებული თაობის წარმომადგენლებმა - საპროტესტო აქცია გამართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის წინ. ისინი პროტესტს გამოსთქვამდნენ საკანონმდებლო ორგანოების უკანონო ქმედებების გამო. აქციის მონაწილეთა ლოზუნგები გვამცნობდნენ: „კერძო მესაკუთრეები ჩვენს მიერ შეძენილი სახლებიდან გვასახლებენ", „მთავრობა დევნილების სახლებში დაბრუნებაზე ზრუნავს, ჩვენ კი ქუჩაში გვაგდებს". აქციის მსვლელობისას, მასში მონაწილეებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ოპერატორს და სხვა დამსწრე ჟურნალისტებს. (ბი ჯი აი)

## ხელისუფლება ბევრ საიდუმლოს ფარავს

ახალი დეტალები გამოაშკარავდა პერუში იაპონიის საელჩოს შტურმთან დაკავშირებით. ცნობილი გახდა, რომ ოპერაციის დროს დაღუპული ყველა ტერორისტი საიდუმლოდ დაასაფლავეს. ჯერჯერობით იდუმალი რჩება იმ ადამიანთა ბედი, რომლებმაც საელჩოში შესასვლელი გვირაბი გაიყვანეს. არცერთი მათგანი სახლში არ დაბრუნებულა. როგორც ჩანს, პერუს ხელისუფლება ბევრ საიდუმლოს ფარავს, რომელთა ფარდის ახდა არცთუ სახარბიელო რეზონანს პირდება პრეზიდენტ ფუჯიმორის.

## პრემიერ-მინისტრთა შეხვედრა

ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ბრუკონი შეხვდა დიდი ბრიტანეთის ახლადარჩეულ პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს. მხარეებმა განიხილეს ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის გზები.

## ლეიბორისტთა მოსვლა ახალი ეპოქის დასაწყისია

დიდი ბრიტანეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ბონსა და პარიზს. საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში ლეიბორისტთა მოსვლა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირთან ურთიერთობაში ახალი ეპოქის დასაწყისია.

## ურთიერთობის ნორმალიზაციის მემორანდუმი

მოსკოვში, მოლდოვეთის პრეზიდენტმა ლუჩინსკიმ და დნესტრისპირეთის პრეზიდენტმა სმირნოვმა ხელი მოაწერეს მოლდოვეთსა და დნესტრისპირეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მემორანდუმს. როგორც გარანტი, მემორანდუმს ხელი მოაწერეს რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებმა.

დოკუმენტი მხარეთა შემდგომ ურთიერთობას მხოლოდ ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ითვალისწინებს.

## ბოსნიელი ლტოლვილები გერმანიაში

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს კლაუს კინკელს სარაევოში მომავალი ვიზიტის დროს დაგეგმილი აქვს განიხილოს ბოსნიელი ლტოლვილების გერმანიიდან ბოსნიაში იძულებით დაბრუნების საკითხი. გერმანიაში ამჟამად 3200 ათასი ბოსნიელი ლტოლვილია. ბერლინისა და ბავარიის ხელისუფლების მიერ ლტოლვილთა რეპატრიაციის დაწყებამ, რომელთა შორის არიან ორსულები და ავადმყოფები, გამოიწვია საპროტესტო გამოსვლები.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იცვლება 5 ოთახიანი ბინა ბაგებში, ჩეხური პროექტის, მე-9 სართულზე, ახალი კოსმეტიკური რემონტით, დიდი სათავსოებით, შესაფერ ორ ბინაზე. ტელ. 23-58-57 საღამოს 7 სთ-იდან

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაკეში წყნეთის ქუჩაზე, გასარემონტებელი, უტელეფონო. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-20-60

იცვლება ოროთახიანი ბინა ქობულეთიდან თბილისზე, ხუთსართულიანი სახლის მესამე სართულზე, კარ-ფანჯრები შეცვლილია, პარკეტით, სამზარეულო და ტუალეტი კაფელითაა მოპირკეთებული, ცხელი წყალი, ტელეფონით, რუსთაველის ქუჩაზე. დარეკეთ თბილისში ტელ. 39-82-02 საღამოს 18 საათის შემდეგ

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა საბურთალოს ცენტრში საერთო ფართით 220 კვ.მ, გარემონტებული, მანქანის სადგომი ადგილით, დიდი სარდაფით. ტელ. 37-77-50

იყიდება ოროთახიანი ბინა 65 კვ.მ. საერთო ფართით დიდი დიღმის III მკრ-ში 13 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. რკინის კარებით. იცვლება ერთოთახიან ბინაზე ფულის დამატებით ან გაიყიდება. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-08-25

იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა ტელეფონით, მანქანის სადგომით, რკინის კარებით. ტელ. 36-28-15

ვყიდი ოთხოთახიან საკუთარ სახლს აეროპორტის დასახლებაში გარაჟით და სარდაფით, ხეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 51-78-53 ან 38-46-55

იყიდება 2 სართულიანი საუკეთესოდ გარემონტებული სახლი 200 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით და დამხმარე სათავსოებით. 4000 კვ.მ კეთილმოწყობილი ხეხილიანი ეზოთი. მის. ლაითურის ქ.(ლოტკინზე) ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-51-52

იყიდება 1 ოთახიანი ბინა წყნეთის ქუჩაზე (ვაკე), 8 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე, სუფთა ბინა, ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-20-60

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში კერძო ბინა, საერთო ფართი 230 კვ.მ საცხოვრებელი ფართი 120 კვ.მ, ეზოს ფართი 1500 კვ.მ, ტელ. 29-21-75; 29-09-37

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, საბურთალოს ბაზრის უკან, გოთუას ქუჩაზე, 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საერთო ფართი 80 კვ.მ მე-3 ოთახი ლოჯიის ხარჯზე, ტელეფონით, სარდაფით, ავტოსადგომით. ფასი 25000 დოლარი. ტელ. 98-42-79; 37-42-20 ნანა

იყიდება საკუთარი სახლი, სამი ოთახით, შუშაბანდით, სამზარეულოთი, სააბაზანოთი თავისი ეზოთი, სახლი ერთსართულიანია 6 საფეხურის სიმაღლეზე. მისამართი: მესამე მასივი, აეროდრომის დასახლება, მეთერთმეტე კორპ. სახლი 1, მეტრო ვარკეთილთან ახლოს. საკონტაქტო ტელ. 34-31-71

იყიდება 3 ოთახიანი, ჩეხური პროექტის იზოლირებული სუფთა ბინა ტელეფონით და რკინის კარებით. ვაზისუბნის III მკრ-ი, 10 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 33. ტელ. 78-55-56. ფასი შეთანხმებით.

იყიდება სამოთახნახევრიანი ბინა (მოსკოვის პროექტი) მე-5 სართულზე, სახლი 9 სართულიანია. ლიფტი მუშაობს, ელექტროენერგია მუდმივადაა, ატმორით, რკინის კარებით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიით 1 წლის უმაღლესი რემონტით. მეტრო „300 არაგველთან" ქეთევან წამებულის გამზირზე. შავი ზღვის ქუჩაზე („გარადოკი"). ფასი 35000$ ტელ 74-12-63

იყიდება 2 ოთახიანი კარგად გარემონტებული ბინა ვაკეში, წყნეთის ქუჩაზე 8 სართულიანის მე-3 სართულზე, ჩაშენებული კარადებით, წყლის გამაცხელებლით, ტელეფონით რკინის კარებით, სარდაფით და გარაჟით. ფასი 27000 დოლარი. ტელ. 38-23-69

იყიდება აგარაკი ბელეტაეზე კაპიტალური სახლით 800 კვ.მ მიწის ფართობით. კრწანისის ველი MBD- ს დაჩები, საუკეთესო ადგილზე. ფასი 7000 ლარი. ტელ. 37-08-06

იყიდება საგურამოსთან სოფელ ნადარაანთკარში კაპიტალური სახლი 13/10 ორი სართული მანსარდით. 2000 მ. მიწის ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-44-24 მარინა; 96-76-25 თემური

იყიდება ორსართულიანი სახლის პირველი სართული, ხუთი ოთახი, სათავსოებით, სარემონტო, ფასი 30000 $ ტაშკენტის ქუჩა №56

იყიდება კერძო სახლი ვეძისში. ტაშკენტის ქუჩაზე, დაუმთავრებელი, მაგრამ ორიგინალური ბაღით, ხეივნითა და აუზით. ფასი 120000$ ტელ. 38-35-59

იყიდება ოროთახიანი ტიპიური ბინა ლოჯიით, ტელეფონით, რკინის კარებით, აბაზანა, სამზარეულო-კაფელში, ქუჩის მხარეს პატარა აივანი, 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე, კინოთეატრ „საქართველოსთან" ახლოს, გურამიშვილის 12ა, I სად. 8 სართ. ბინა 22 ტელ. 61-71-46 ნანა ფასი 11000$

ქირავდება ერთოთახიანი ბინა ლოჯიით ქავთარაძის 13(იზოტოპებთან) მეორე სართულზე, ტელეფონით, ტელ. 30-11-39 გულისა; 30-03-98 სულიკო; 30-31-13 ნანა

იყიდება აგარაკი მუხათწყაროში, ორსართულიანი სახლი ბუხრით და მანსარდით, 700 კვ.მ ხეხილიანი ეზოთი, რკინის კარებით. 500 ტონიანი აუზით. საწყისი ფასი 10000 ლარი, ან ერთოთახიანი ბინა საბურთალოზე. ტელ. 30-31-13 ნანა

იყიდება 4 ოთახიანი პრივატიზებული ბინა, სიმაღლე 3,50, ჰოლი 12 კვ.მ, ბინა მდებარეობს ალექსანდროვის ბაღის მახლობლად, ვირსალაძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ 99-91-32 იკითხეთ თამარი

იყიდება მიწის ნაკვეთი 1200 კვ.მ, პრივატიზებული, გარშემო ბადე აქვს, რკინის კარით, ორსართულიანი სახლით. პირველ სართულზე რკინის კარით. საწყისი ფასი 5000 დოლარი. ტელ. 99-91-32 დილით 12 საათამდე. საღამოს 6 სთ-ის მერე იკითხეთ თამარი

## ქირავდება

ქირავდება ოთახნახევრიანი ბინა საბურთალოზე, საირმის ქუჩაზე. ავეჯით, ტელეფონით, ცხელი წყლით. ფასი 150 დოლარი. ტელ. 38-04-58; 61-83-55

ქირავდება ოთახნახევრიანი ბინა ავეჯით, ტელეფონით V სართულზე. მის. საბურთალო, მიცკევიჩის №20, ბინა 77. ტელ. 38-13-60 ფასი შეთანხმებით. იკითხეთ კოტე

ვაქირავებ ერთოთახიან სუფთა ბინას სარაჯიშვილის მეტროსთან ზარზმის ქუჩაზე ფასი 55 ლარი. ტელ. 37-21-61 ლეო


ვაქვეყნებთ
უფასო
განცხადებებს
დაგვირეკეთ
ყოველდღე:
93–18–41


## სხვადასხვა

მოვუვლი ბავშვს 2-დან 6 წლამდე. ტელ. 62-26-18; 62-43-30 ნანა

იყიდება რუმინული სასადილო „მონა" ან იცვლება ბინაზე მეტროსთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-16-41

იყიდება გერმანული სამზარეულო, 12 ნაჭრიანი, ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-16-41

იყიდება 60 კვ.მ ჩეხური წარმოების ცისფერი კაფელი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-33-49 მანანა

იყიდება ფუტკარი და დინდგელი პროტონის. ფასი შეთანხმებით. იყიდება ცისტერნა, ემალირებული, 8 ტონიანი, ფასი შეთანხმებით. ტელ. 60-21-54

იყიდება მაცივარი „ჩინარი", შეფუთული, ახალი. ფასი 300 ლარი. იყიდება გაზქურა „კარპატი", ახალი, შეფუთული, ოთხკამფორიანი. ფასი 180 ლარი. იყიდება მტვერსასრუტი „შმელი", ახალი, შეფუთული 60 ლარი. იყიდება „ხელგა", გერმანული, სამკარებიანი. ფასი 320 ლარი. ტელ. 22-37-30

უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი შეასრულებს: შედუღებას (ელექტრო და აირით), სანტექნიკას, ელექტროგაყვანილობას (ფილების მოპირკეთებას). ტელ. 94-03-31 კობა.

იყიდება ბლითის (ბუბლიკის) დამამზადებელი დანადგარი, ახალი, ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-42-34 (დღისით); 99-69-28 (საღამოს) იკითხეთ მაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტომანქანა

იყიდება ავტომანქანა „ნისან-სანის" მარკის, 10 წლის, წითელი ფერის, კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 3500$ ტელ. 38-42-34 (დღისით); 99-69-28 (საღამოს), იკითხეთ მაია

იყიდება ავტომანქანა „გაზ-53", 1990 წლის გამოშვება, განარბენი 12000 კმ. დახურული ძარით. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 99-99-25

იყიდება ავტომანქანა „გაზ 52" ფურგონი, გარბენი ოცდახუთი ათასი კილომეტრი. ფასი 2500 ლარი. ტელ. 60-87-79; 39-19-53

ვყიდი ორკარებიანი BMW-ს მარცხენა კარის მინას. ტელ. 95-63-97 ან 31-71-35

## გილოცავთ!

### თამუნა ჩეგიანს!

გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, სიყვარულს და სიხარულს, ბედნიერებას გისურვებთ.


კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე
თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში
- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61



ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service
აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ექსპრეს-აუდიტ სერვისი
გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:
1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.
მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


# ჰოროსკოპი

## 9-14 მაისი

ვერძი - ქალაქგარეთ გაისეირნეთ და აქტიურ დასვენებას მიმართეთ, რათა გაზაფხულის ცვალებადმა ბუნებამ ნაკლებად იმოქმედოს თქვენს ორგანიზმზე.

კურო - მძიმე სამუშაო და საქმიანი, მაგრამ დამქანცველი შეხვედრები გელით. მოუფრთხილდით თქვენს ენერგიას და ჯანმრთელობას.

ტყუპები - კვირის ბოლოს საჩუქარს მიიღებთ.

კიბო - საქმიანობა მოგენატრათ, შემოქმედებითი აღმაფრენაც გეწვიათ, მაგრამ ერთი დღით ყურადღება დაუთმეთ თანამშრომლებთან ურთიერთობას, საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ.

ლომი - დრო მოგეცათ დასაფიქრებლად და წარსული საქმიანობის ანალიზისათვის, ჩაუღრმავდით პრობლემას მშვიდად და წარმატებაც წინაა.

ქალწული - საქმიანი საუბრები, სიყვარული, შემოქმედებითი წვა - ყველაფერი ერთად გაქვთ და გიხაროდეთ.

სასწორი - ფილოსოფიური თვითანალიზის შემდეგ გარეთ გადით და ბუნების წიაღში აქტიურად დაისვენეთ.

მორიელი - გაზაფხულის ცვალებადობამ თქვენს ჯანმრთელობაზე ნეგატიურად იმოქმედა, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ და დროებითი უმოქმედობის დროს წვრილმანი ოჯახური საქმეები გააკეთეთ.

მშვილდოსანი - აგრესიულობამ და ვნებების დაუოკებლობამ ავადმყოფობა იცის. დაწყნარდით, თავს მიხედეთ.

თხის რქა - ხომ გეუბნებოდნენ, რომ დროსტარებას ნუ გადაყვებით, ახლა კი გვიანაა, მიხედეთ ჯანმრთელობას.

მერწყული - საქმიანი, დატვირთული დღეები გელით.

თევზები - სერიოზული სამსახურებრივი საუბრებისა და წარმატების შემდეგ წარმატება გელით.

# ლატარეა ყველასათვის

## 9 მაისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 5000 ლარი | №399729; | 80 ლარი | *71982; |
| 5000 ლარი | №238482; | 70 ლარი | *71600; |
| 1000 ლარი | №218404; | 60 ლარი | *92509; |
| 800 ლარი | №512693; | 50 ლარი | *72681; |
| 700 ლარი | №495417; | 40 ლარი | *41860; |
| 600 ლარი | №436912; | 30 ლარი | *61823; |
| 500 ლარი | №680001; | 25 ლარი | *9035; |
| 400 ლარი | №681729; | 20 ლარი | *3297; |
| 300 ლარი | №287576; | 10 ლარი | ***841; |
| 200 ლარი | №171056; | 10 ლარი | ***806; |
| 100 ლარი | №250451; | 10 ლარი | ***523; |
| 90 ლარი | *54084; | 10 ლარი | ***305. |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეთვრამეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე – 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის **XVIII** ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **5658, 2322**; გათამაშებაზე შეუძლიათ 16 მაისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა *BMW* მოიგო ლატარიის ბილეთმა **№639803.** ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა **№452707**

# გამარჯვების დღეზე თქმული

* გამარჯვების დღევ! კარგი იყავ, მაგრამ შენი თავი აღარ დაგვჭირებოდესო.

* მშვიდობისათვის „მშვიდობით“ არ გვეთქვასო.

* სჯობს ვაჟკაცთა გახსენება ზოგიერთთა ხსენებასო.

* 9 მაისმა ბრძანა:

პატივი რომ მომანიჭეთ, გამარჯვების სადარიო,

ბარემ ისიც მომახსენეთ, თვით მესაჭე სად არიო?!

* ჰიტლერმა გაიხსენა – ჩემი გამარჯვებათა დღემოკლეობა, აღმოსავლეთის ფრონტზე ყველაზე გრძელი დღით დაიწყოო.

* სამამულო ომს ჰკითხეს – გამარჯვებისათვის ყველაზე მძლავრი იარაღი რა აღმოჩნდა და – ფოლადისებური დისციპლინაო.

* ჰიტლერმა ჩაასწორა – მზე აღმოსავლეთით ჩადისო.

* სამამულო ომმა ჩაუნდაზა – ცხვარი სარქლითაო და ომი სარდლითაო.

* უზენაესმა ჰკითხა ჰიტლერს – აღმოსავლეთის ფრონტზე მთაგორი ხომ არ გიშლიდა ხელსაო, და – მთისა რა მოგახსენოთ, უზენაესო ბატონო, და გორი კი ნამდვილად ჩემი არჯალი გახდაო.

* ჰიტლერს ჰკითხეს – დრომ რომ უკან დაიხიოს, როგორ მოიქცეოდიო, და – აღმოსავლეთის ფრონტზე ომს ისევ 22 ივნისს დავიწყებდი, მხოლოდ... 53 წელსაო.

* მამაზეციერმა რომ ნაპოლეონს ჰკითხა – სტალინზე რა აზრისა ხარო, მან თავისი ცნობილი ფრაზა გაიმეორა: „მე მირჩევნიან ასი ცხვარი ლომის წინამძღოლობით, ვიდრე ასი ლომი ცხვრის წინამძღოლობითაო“.

* ჰიტლერმა დაიჩივლა – ეჰ, არც სამარამდე მიმაღწევინეს და არც სამარემდეო.

* სტუმართმოყვარეობას გააჩნია: ჰიტლერი რომ მოსკოვს მოადგა, სტალინი 7 ნოემბრის აღლუმით შეეგება, ხოლო სტალინი რომ ბერლინს ეწვია, ჰიტლერი სულაც არ შეგებებიაო.

* ჰიტლერს ჰკითხეს – მოსკოვი რატომ ვერ აიღეო, და – როგორ? მოსკოვიდან სტალინი არ გავიდა და მე როგორ შევსულიყავიო?!

* სტალინი ჩვენც საკმაოდ გვაეწროებ-გვამცირებდა ხოლმეო, გაიხსენეს ომის მომდევნო წლების... ფასებმა.

* ჰიტლერმა ინანა – ნეტავ თავიდანვე დავმორჩილებოდი ანდაზებს: „კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“ და „ხარბს უთხრეს – ყელამდე ოქროში უნდა ჩაგსვათო, და ალევისხეს კენწეროზე მოექცაო“.

* სტალინს მოახსენეს: „თქვენს ხელში რომ ხალხები ალალ შრომაში ოფლსა ღვრიდნენ, ახლა იგივე ხალხები ერთმანეთში სისხლსა ღვრიანო“.

* სტალინს მიუსამძიმრეს – გერმანიის კედელიც დაანგრიეს და... საბჭოთა კავშირიცაო.

* სამამულო ომმა გაიხსენა – გერმანელების „სს“-ელებს ჩემი „სს“ დაუპირისპირე: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“

* ჰიტლერს ჰკითხეს – რამდენად მართალია, რომ სტალინმა შენი ხელყოფისაგან იხსნა მსოფლიო კულტურაო, და – ეგ მართალია, მაგრამ მე ისიც მოვისმინე, რომ სტალინს მაგ სიტყვისაგან დაუტოვეს მხოლოდ „კულტ“, „ურა“-ს ძახილითაო.

* სტალინს მოახსენეს – ამჟამად თქვენეულ ქვეყანაში ერთია ძნელად დასადგენი: მოშიმშილენი რაიმე საპროტესტო აქციას განეკუთვნებიან, თუ გაჭირვებულ ცხოვრებასაო.

* სტალინს ჰკითხეს – ახლანდელ დემოკრატიაზე რა აზრისა ბრძანდებითო, და-დაბმულნი ერთბაშად კი არ უნდა აეშვათ, არამედ საბელი თანდათან უნდა ეგრძელებინათო.

* სტალინს ახარეს – შენი ძეგლი ისევ ამაყად დგას გორში, ლენინის ძეგლები კი ყველგან... გორაობენო.

* სტალინს რომ მოახსენეს – თქვენს მიმართ ბევრი აუგად გაჰკივისო – მთავარი ისტერია კი არა, ისტორიააო.

* და მართლაც, ისტორიამ ბრძანა:

– ჰიტლერზე გამარჯვება უპირველესად სტალინის დამსახურებაა და მის ამაგდარ სახელს, ჩემს მიერ მტკიცედ ჩაწერილს, თვით მამაზეციერიც ვერ ამომაშლევინებსო.

**ვახტანგ ჯავრიშვილი**


## დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“ 1997 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხელმოწერა შეიძლება ქთბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე“-ს (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ უბნებში. შეგახსენებთ მისამართებს:

- *მოსკოვის გამზირი 18 ტელ. 71–32–87*
- *გლდანის რ-ნი, დუმბაძის 4ა კორპ. ტელ. 62–75–32*
- *დ.გურამიშვილის გამზ. №30 ტელ. 60–80–22*
- *ივ.ჯავახიშვილის (ყოფ.კალინინის) ქ.14 ტელ. 95–87–36*
- *ქეთევან წამებულის (ყოფ.შაუმიანის) გამზ. 61 ტელ. 74–14–47*
- *აკ.წერეთლის გამზ. 73 ტელ. 34–75–51*
- *რ.თაბუკაშვილის ქ.№12*
- *ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ.42 ტელ. 37–47–49; 93–43–97*
- *ჭავჭავაძის გამზ. 46 ტელ. 22–64–58*

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა;

„მაცნე“-გარანტია ხელმომწერისათვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების.

ენდეთ ხელმოწერაში „მაცნე“-ს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.


## საზღვარგარეთ

### სალმან რადუევის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე

როგორც ჩეჩნეთის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ იბრაჰიმ ხამიდოვმა განაცხადა – ჩეჩენი საველე მეთაურის სალმან რადუევის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მისივე თქმით თუ სალმან რადუევი ტერორისტული აქტების მხოლოდ მუქარით დაკმაყოფილდება, პროკურატურაც მის წინააღმდეგ მხოლოდ გამაფრთხილებელ ზომებს მიიღებს.

### შეათანხმეს კომპენსაციის თანხა

უკრაინა მზადაა დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან, სევასტოპოლიდან რუსეთისა და უკრაინის საზღვაო ქვეითი ბატალიონების გამოყვანის შესახებ – განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კუზმუკმა.

უკრაინისა და რუსეთის ექსპერტებმა შეათანხმეს აგრეთვე იმ კომპენსაციის თანხა, რომელიც უკრაინას სტრატეგიული ბომბდამშენებისა და ფრთიანი რაკეტების რუსეთისათვის გადაცემის გამო უნდა გადაეცეს.

### რუსეთი ცდილობს პოლიტიკური ზეწოლა მოახდინოს ლატვიაზე

ლატვიის დედაქალაქ რიგას პირველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია. დეპუტატები დაინტერესებული არიან ლატვიაში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებით. მიმომხილველთა აზრით, რუსეთი ცდილობს პოლიტიკური ზეწოლა მოახდინოს ლატვიაზე. მხარეები განიხილავენ ასევე რუსეთ-ლატვიის საზღვრის დემარკაციის პროექტს.

### ნატოს სამხედრო წვრთნას ამერიკაც შეუერთდა

ესპანეთისა და პორტუგალიის ტერიტორიაზე და ამ ქვეყნების სანაპირო წყლებში გრძელდება ნატოს ქვეყნების და ბრაზილიის შეიარაღებული ძალების სამხედრო წვრთნა, რომელსაც ამერიკის შეერთებული ძალების ქვეგანაყოფები შეუერთდნენ. წვრთნა 19 მაისამდე გასტანს.

მოამზადა
**ეკა ფარსადანიშვილმა**

# კაიფვორდი



მიწოლილად: 5. „ნალებიანი ტრიბუნა“; 8. პროფესიონალი „ტუზიანი ვირი“; 9. დამდგმელი ხელმძღვანელი, რომელიც „რეჟიმში ნაგავს“ ყრის (რუს.კავშ.); 10. „ევრაზია უევროპოდ“; 12. „სახელდახელოდ“ შექმნილი ჭურჭელი; 13. „კალათებიანი“ სპორტი; 16. ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც „ბე“-ს დაყინებით მოითხოვს; 19. „რელე“ გადამწვარი ლიანდაგი; 21. „კაბის მომლოდინე“ სადენი; 22. „მანტოზე ქირით“ მკითხაობა; 24. „ბოლიანი“ დასასრული; 26. „რიტას საყვარელი მესამე მუსიკალური ბგერა“; 28. ის, რაც გაზეთ „ინტუიციას“ ემატება; 30. „მორებიანი“ სიფათი (ჟარგ.); 31. თანამდებობის პირის „კაბინა“; 33. ჩვენი ერის „ქათმების“ შიკრიკი (რუს.კავშ.); 34. თარაზულის „ეული“ საპირისპირო; 35. ეს სახელმწიფო კი ნამდვილად „ყველია“ (რუს.კავშ.).

მიყრდნობილად: 1. „ვიზიანი“ სტუმრობა; 2. ის, ვინც აგური და ქვა ახსენა (კინოფ.); 3. „ჩოლის“ პატარა ხბო; 4. „პირიანი“ საკუთარი; 5. ვირის წიხლი; 6. „ბარში შეჭმული კალიანი“ ქათმის ნაწილი; 7. „ლაზი ეროვნების ზარებიანი“ კინოს პერსონაჟი; 11. დილის „ცეცხლიანი“ და მუსიკალური გადაცემა; 14. „ზარის“ მიერ გამოწვეული განახეთქი; 15. ქალის სახელი, რომელიც მხოლოდ „ფიქრს“ წარმოადგენს; 17. „რომაელი“ ქიმიური ელემენტი; 18. „ორი ნამატი“ ჩუქურთმა; 20. არითმეტიკაში სავარჯიშო, ახლა საოჯახოდ გამხდარი თამაში; 23. „საკოცნელი“ ცეცხლი; 25. „გამაზული მეექვსე მუსიკალური ნოტი“; 27. „კოლოს“ ფრინველებთან ერთად ჰაერში შესაკვრელი (რუს.კავშ.); 29. „დუების“ მოყვარული საკრავი ინსტრუმენტი; 32. „ბალის“ მჭამელი დოყლაპია.

კობა ბაიდოშვილი

## წინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

მდგომიარედ: 1. სანტექნიკა; 2. უგულავა; 3. ბლანკი; 5. ლოტოსი; 6. რიონჰესი; 7. ბანაკი; 8. ირტიში; 9. ნარდი; 12. იუმორი; 18. ყვარყვარე; 20. ნავარდი; 21. ბურდა; 22. დამპალი; 23. გაიდარი; 25. დუბარა; 26. მუსტაფა; 28. სინუსი.

მიწოლილად: 4. ქლორი; 7. ბულიონი; 10. ნამგალი; 11. ტაოტი; 13. ნექტარი; 14. ტალანტი; 15. ჰამაკი; 16. კიბე; 17. ანია; 19. ვანილი; 21. ბადაგი; 24. აკლდამა; 27. რევერსი; 29. ანტიკვარი; 30. ნაღარა; 31. კაიფვორდი; 32. საკომისიო.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444